ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის, სისხლის სამართლის
სამაგისტრო პროგრამის მეოთხე სემესტრის სტუდენტის
ლაშა დიაროვის
სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

„სახელმწიფო პოლიტიკა ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში“

ნაშრომის ხელმძღვანელი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის
ასოცირებული პროფესორი - მორის შალიკაშვილი

თბილისი, 2019 წ.

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლაშა დიაროვი

11.07.2019

გამოყენებული აბრევიატურის ნუსხა:

ე.წ. - ეგრედ წოდებული

ა.შ. - ასე შემდეგ

მაგ. - მაგალითად

იხ. - იხილეთ

სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი

სსსკ - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

სხვ. - სხვა

ე.ი. - ესე იგი

მდგ.- მდგომარეობით

გვ.- გვერდი

სარჩევი----------**გვ.4-5**

შესავალი----------**გვ.6**

კვლევის მეთოდები----------**გვ.6**

ნაშრომის სტრუქტურა----------**გვ.7**

თავი I. „ქურდული სამყაროს“ მოკლე ისტორიული ესკურსი

1.1. ორგანიზებული დანაშაულის ცნება----------გვ.7-10
1.2. „ქურდული სამყაროს“ წარმოშობა----------გვ.10-11
1.3. „კანონიერი ქურდები“ და საქართველო----------გვ.11-12

თავი II. სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპები

2.1. რაციონალური კრიმინალური პოლიტიკა, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ძირითადი საშუალება----------გვ.12-14

2.2. საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა, როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითადი მიზანი----------გვ.14-16

თავი III. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი საქმეზე – „იზეთ აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ“

3.1. ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების განსაზღვრა და „კანონიერი ქურდობის“ კრიმინალიზაციის პრობლემა----------გვ.16-17

3.2. ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ტერმინების „ქურდული სამყაროს წევრისა“ და „კანონიერი ქურდის“ მიმართ----------გვ.17-19

3.3. დასჯადობის საფუძველი: ქმედება, თუ სოციალური სტატუსი?---გვ.19-21

თავი IV. „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი 2005 წლიდან დღემდე

4.1. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა „ქურდული სამყაროს წევრებისა“ და „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ----------გვ.21-23

4.2. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შედეგები „ქურდულ სამყაროსთან“ ბრძოლის მიმართულებით----------გვ.24-27

4.3. დღეს არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა „ქურდული სამყაროს წევრობასა“ და „კანონიერ ქურდობასთან“ მიმართებით----------გვ.27-32

4.4. „ქურდული სამყაროს წევრობისა“ და „კანონიერი ქურდობის“ დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვების სირთულეები-----გვ.32-38

თავი V. „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები

5.1. პრევენციული მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუშლიან „ქურდული სამყაროს“ გაფართოებას----------გვ.38-45

5.2. პრევენციული მექანიზმები, რომლებიც შესაძლოა გამოვიყენოთ პირის „კანონიერი ქურდობის“ ან „ქურდული სამყაროს წევრობის“ დადგენის შემდგომ----------გვ.45-46

დასკვნა----------გვ.46-48

გამოყენებული ლიტერატურა----------გვ.49-51

შესავალი

თემის აქტუალურობა - წინამდებარე ნაშრომი შეეხება „ქურდული სამყაროს წევრობისა“ და „კანონიერი ქურდობის“ დანაშაულთა თაობაზე სახელმწიფო პოლიტიკისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს. 2005 წლის 20 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილებები და კოდექსს დაემატა სისხლის სამართლის კოდექსის 223[1] მუხლი, რომლის დასახელებაც არის: **„მუხლი 223[1] „ქურდული სამყაროს წევრობა“, „კანონიერი ქურდობა“**. ასევე 2005 წლის 20 დეკემბერს კიდევ ერთი სიახლე დამტკიცდა, კერძოდ, მიღებული იქნა კანონი ორგანიზებულ დანაშაულსა და რეკეტზე. ამ კანონის მე-3 ნაწილი გვაძლევს „კანონიერ ქურდებთან“ და „ქურდულ სამყაროსთან“ დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცნებების განმარტებას. მართალია, მანამდე არსებული კანონმდებლობა უკვე შეიცავდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გარკვეულ იურიდიულ მექანიზმებს, თუმცა ეს მექანიზმები არ იყო საკმარისი კრიმინალური გაერთიანებების, ე.წ. „ქურდული სამყაროს“ საქმიანობისა და რეკეტიორობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიტომაც განხორციელდა აღნიშნული ცვლილებები, თუმცა ამ საკითხისადმი სახელმწიფო პოლიტიკისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიდგომის ცვალებადობამ, გავლენა იქონია სსკ-ის 223[1] მუხლის არაერთგვაროვან გამოყენებაზე. ვფიქრობთ, საინტერესოა „ქურდული სამყაროს წევრობისა“ და „კანონიერი ქურდობის“ დანაშაულთა თაობაზე აღმასრულებელი ხელისუფლების დამოკიდებულებისა და სასამართლო პრაქტიკის ცვალებადობის გამომწვევი მიზეზების ანალიზი. ნაშრომის ფარგლებში, შევეცდები მაქსიმალურად ამომწურავად განვიხილო აღნიშნული საკითხები და დასმულ შეკითხვებს გავცე პასუხები. წინამდებარე ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს, „ქურდული სამყაროს წევრობისა“ და „კანონიერი ქურდობის“ თაობაზე სახელმწიფო პოლიტიკისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების მიდგომისა და სასამართლო პრაქტიკის შეცვლის გამომწვევი მიზეზების დადგენა. ამავდროულად, შევეცდებით დავსახოთ „ქურდული სამყაროს“ შესუსტებისა და მისი საბოლოოდ დამარცხების გზები, განვიხილოთ ის პრევენციული მექანიზმები, რომელთა გამოყენებაც, ჩვენი აზრით, ნაყოფიერი იქნება „ქურდულ სამყაროსთან“ ბრძოლაში.

კვლევის მეთოდები - წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული იქნება კვლევის რამდენიმე მეთოდი, კონკრეტულად კი - ისტორიულ-სამართლებრივი, შედარებით-სამართლებრივი და იურიდიულ-განმარტებითი მეთოდები.

ნაშრომის სტრუქტურა - ნაშრომი შედგება შესავლის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან. თავები ასევე შედგება ქვეთავებისგან. პირველი თავი შეეხება „ქურდული სამყაროსა“ და „კანონიერი ქურდობის“ წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორიულ ესკურსს. მეორე თავში საუბარია სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპებზე. მესამე თავში გაანალიზებული იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – „იზეთ აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ“. მეოთხე თავში განხილული იქნება „ქურდული სამყაროს წევრობისა“ და „კანონიერი ქურდობის“ წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი 2005 წლის 20 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებიდან დღემდე. მეხუთე თავში წარმოდგენილი იქნება „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები.

თავი I. „ქურდული სამყაროს“ მოკლე ისტორიული ესკურსი

1.1. ორგანიზებული დანაშაულის ცნება

ორგანიზებული დანაშაული კრიმინალური დანაშაულის ერთ–ერთი ყველაზე რთული და საშიში ფორმაა, „ის ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ზნეობრივ სფეროებზე. იგი ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხეს წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რასაც ხელს უწყობს სატრანსპორტო და საინფორმაციო კომუნიკაციების განვითარება, კაპიტალის გამარტივებული მოძრაობა, სახელმწიფო საზღვრების გამჭვირვალობა, შრომითი მიგრაციის ზრდა და გლობალიზაციასთან დაკავშირებული სხვა პროცესები“.[1] ორგანიზებული დანაშაული მსოფლიო დონის პრობლემას წარმოადგენს, მის ირგვლივ არაერთი მსჯელობა გამართულა უმსხვილესი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. „ტერმინი „ორგანიზებული დანაშაული“ 1919 წელს აშშ–ში, ჩიკაგოში, იქნა პირველად გამოყენებული“.[2] რაც შეეხება აღნიშნული დანაშაულის ცნებას, ის 1992 წელს შემუშავებულ იქნა გერმანიის ბუნდესტაგის მიერ. „ამ ცნების მიხედვით, ორგანიზებული დანაშაული არის მოგების, ან ძალაუფლების მიღების მიზნით, სისტემატურად და ხანგრძლივი (განუსაზღვრელი) პერიოდით დანაშაულის ჩადენა, თუ იგი ჩადენილია ორზე მეტი პირის მიერ: ა) პროფესიული ან სამეწარმეო სტრუქტურების, ბ) ძალადობის ან დაშინების, გ) პოლიტიკაზე, მედიაზე, იუსტიციაზე და

[1]დავით მესხიშვილი, „ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი დახასიათება საქართველოში“, თბილისი 2012 წელი, გვ.4
[2]მორის შალიკაშვილი, „კრიმინოლოგია“, მესამე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2017, გვ.75

ეკონომიკაზე გავლენის მოხდენის გამოყენებით“.[3] გარდა აღნიშნულისა, არსებობს ორგანიზებული დანაშაულის კიდევ ერთი განმარტება, რომელიც ჩამოყალიბდა 1991 წელს გაეროს საერთაშორისო კონფერენციაზე: „ორგანიზებული დანაშაული“ განიმარტა, როგორც დამნაშავეთა მართვადი, მყარი გაეთიანების საქმიანობა, რომლის წევრებისათვის დანაშაულის ჩადენა წარმოადგენს ბიზნესს, და რომელიც კორუფციის დახმარებით ქმნის სოციალური კონტროლისაგან დაცულ სისტემას“.[4] ორგანიზებული დანაშაულის განვითარებას ხელს უწყობს საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა. ამ მხრივ, საზოგადოების ყველაზე დაუცვლი ნაწილი მოზარდები და სოციალურად დაუცველი ფენის წარმომადგენლები არიან, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო ადვილად შეიძლება მოექცნენ კრიმინალური „ავტორიტეტებისა“ და ზოგადად, კრიმინალური სამყაროს გავლენის ქვეშ.[5]

ორგანიზებულ დანაშაულს გააჩნია სხვადასხვა გამოვლინება. მაგალითად: ადამიანის, ან ქონების გატაცება მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ნარკოტიკებით, ცეცხლსასროლი იარაღით, ფეთქებადი ნივთიერებებითა და ანტიკვარული ნივთებით უკანონო ვაჭრობა, კონტრაბანდა, თაღლითობა. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები ასევე აქტიურად ჩართული არიან კორუფციასა და ფულის გათეთრებაში. ორგანიზებული დანაშაულის განვითრებას ხელს უწყობს საზოგადოების არასათანადო ინფორმირებულობა. ორგანიზებული დანაშაულის წინაშე, საზოგადოების ყველაზე დაუცველ სეგმენტს მოზარდები და სოციალურად გაჭირვებული ფენის წარმომადგენლები შეადგენენ, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო, ადვილად შეიძლება მოექცნენ კრიმინალური ავტორიტეტებისა და ზოგადად კრიმინალური სამყაროს გავლენის ქვეშ.

ორგანიზებული დანაშაულის ერთ–ერთ ყველაზე საშიშ სახეობას წრმოადგენს „ქურდული სამყარო“, რომელსაც მართავენ ე.წ. ავტორიტეტები, „კანონიერი ქურდები“. აღნიშნული დანაშაული 2005 წლის 20 დეკემბრიდან კრიმინალიზებულია საქართველოს სსკ–ის 223[1] მუხლით. „ქურდული სამყარო, ისევე როგორც სხვა კრიმინალური ორგანიზაციები, სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების სარკეს წარმოადგენს. ზოგადად, კრიმინალური ორგანიზაციები მჭირდოდაა კავშირში ქვეყნის

[3]მორის შალიკაშვილი, „კრიმინოლოგია“, მესამე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2017, გვ.76
[4]მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამმართველო, „ორგანიზებული დანაშაული“, გვ.1
[5]https://police.ge/files/proeqtebi_reporma%20photos/organizebuli-danashauli/organizaciuli-danashauli.pdf

კულტურასა და მენტალიტეტთან, ასავე მოსახლეობის ადათ–ჩვევებთან. მაგალითად, იტალიაში „სავარაუდოდ, მაფია უკვე მე–13 საუკუნეში უნდა არსებულიყო, ეს იყო გლეხთა გაერთიანება საკუთარი თავის დაცვის მიზნით“.[6] მაფია, სწორედ იტალიური ადათ-წესებისა და იტალიის მოსახლეობის მენტალიტეტის პირმშოა. „ქურდული სამყარო“ თავისი შინაარსით ყველაზე ახლოს სწორედ იტალიურ მაფიასთან დგას. იტალიური მაფია და „ქურდული სამყარო“ ორივე ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებებია. „მაფია“ სიცილიაში ტრადიციული ბანდიტიზმის ნიადაგზე აღმოცენდა და მთელი იტალია მოიცვა. „მისი გავლენა მალე გასცდა იტალიის ფარგლებს და მე–20 საუკუნის დასაწყისში ორგანიზაციის ათასობით წევრი, მეტწილად არალეგალურად, შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა“.[7] როგორც „ქურდულმა სამყარომ“ მოახერხა სახელმწიფო ინსტიტუტებში შეღწევა და ქვეყანაში მნიშვნელოვანი არაფორმალური გავლენის მოპოვება, ისევე მაფიამ შეძლო თავისი საცეცების ამერიკის ცხოვრების ყველა სფეროსთვის მოდება. ამ ორ დანაშაულებრივ დაჯგუფებას აქვს ბევრი საერთო და განმასხვავებელი ნიშანი. ისინი ერთმანეთისგან ორგანიზაციული სტრუქტურით განსხვავდებიან. იტალიური მაფია მიეკუთვნება ორგანიზაციის პატრიმონიულ მოდელს, რომელიც აგებულია ნათესაურ პრინციპებზე, იგულისხმება სისხლით ნათესაობა. მაფია გაიგივებულია ოჯახთან, რომლის სათავეშიც დგას ოჯახის მმართველი, იგივე „ბოსი“.[8] ამისგან განსხვავებით „ქურდული სამყარო“ წარმოადგენს „საძმოს“. ის არ არის სისხლითნათესაურ პრინციპებზე აგებული და არც ერთპიროვნული მმართველი არ ჰყავს. ქურდული ორგანიზაცია უფრო ჰორიზონტალური მმართველობის სტილის ორგანიზაციაა, ვიდრე ვერტიკალური. გადაწყვეტილებები საერთო შეკრებაზე მიიღება, სადაც ხმის უფლება ყველა წევრს გააჩნია. გარდა ამისა, არსებობს გარკვეული შიდაორგანიზაციული განსხვავებებიც ამ ორ დანაშაულებრივ დაჯგუფებას შორის.[9] რაც შეეხება საერთო ელემენტებს, უნდა აღინიშნოს, რომ მაფიის წევრები, ისევე როგორც „კანონიერი ქურდები“, დაუნდობელ, ანტისოციალურ და კრიმინალურ ელემენტებს წარმოადგენენ. მაფიის ისტორია, ისევე, როგორც „ქურდული სამყაროს“ ისტორია გაჟღენთილია სისხლითა და მუხანათობით. ორივე დანაშაულებრივი ორგანიზაცია მოჩვენებით აღიარებს „ღირსების კოდექსს“, თუმცა მათი წევრები ყოველთვის მზად არიან ზურგში დანა ჩასცენ ნებისმიერს, ვინც

[6]მორის შალიკაშვილი, „კრიმინოლოგია“, მესამე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2017, გვ.77

[7]ნაიჯელ ქოთორნი, „მაფიის ისტორია“, 2012 წელი, გვ.5

[8]Ianni. Kinship and Social Control in Organizd Crime. 1972. Howard Abadinsky. Organized Crime. Nelson-Hall publishers. Chicago. перевод с англ.-СПб.: Издателство С.-Петербургского университе- та. 2002. с. 36.

[9]ავტორთა კოლექტივი (გ.ნაჭყებია, ნ.თოდუა, გ.მამულაშვილი, გ.გორაშვილი, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალიძე), „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, თბილისი, 2012 წელი, გვ. 530-531

მიზნისკენ მიმავალ გზაზე გადაეღობებათ. სისასტიკე, დაუნდობლობა და ვერაგობა ყოველთვის წითელ ხაზად გასდევს ნებისმიერი ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების საქმიანობას.

1.2. „ქურდული სამყაროს“ წარმოშობა

ქურდული სუბკულტურა გახლავთ კრიმინალური სუბკულტურის სახეობა, რომელიც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჩაისახა და დღემდე ორგანიზებული დანაშაულის ერთ–ერთ ყველაზე საშიშ სახეობას წარმოადგენს. „დღეს არსებული ინფორმაციით „კანონიერი ქურდის“ არსებობა დასტურდება ოქტომბრის 1917 წლის რევოლუციის შემდეგი პერიოდიდან, კერძოდ გასული საუკუნის 20-იანი–30-იანი წლებიდან“.[10] მართალია, „ქურდულ სამყაროს“ ფესვები ჯერ კიდევ მე–18 საუკუნეში შეიძლება აღმოვაჩინოთ, მაგრამ ორგანიზებული დანაშაულის ამ მძლავრმა სახეობამ განვითარების პიკს მე–20 საუკუნეში მიაღწია. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა თავად ტერმინი „კანონიერი ქურდიც“. როგორც წესი, „ქურდული სამყაროს“ ჩამოყალიბების პერიოდად საბჭოთა შრომა–გამასწორებელი ბანაკების შექმნა მიიჩნევა, სადაც ხალხთა უზარმაზარი მასების გამო წარმოიშვა მართვის პრობლემები. ციხისა და „გულაგების“ ადმინისტრაციას ძალიან უჭირდა წესრიგის დამყარება და დამატებით დახმარებას საჭიროებდა. აღნიშნულ ბანაკებში განმწესებულ პატიმრებს იაფ მუშახელად იყენებდნენ, რასაც ეკონომიკურად დასუსტებული საბჭოთა კავშრისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.[11] საბჭოთა ხელისუფლებამ განიზრახა, რომ გავლენიანი პატიმრების დახმარებით მოეხდინა მრავალრიცხოვანი ბანაკების მართვა. სწორედ ამ ე.წ. ავტორიტეტებს ეწოდათ „კანონიერი ქურდები“. მათი და ციხის ადმინისტრაციის ურთიერთობას თანამშრომლობას ვერ დავარქმევთ, ეს იყო უფრო იძულებითი თანაცხოვრება.

„კანონიერი ქურდების“ ჩამოყალიბებასთან ერთად ჩამოყალიბდა ე.წ „ქურდული წესებიც“, რომელსაც განუხრელად იცავდნენ , „როგორც ძველი, ისე ახალი ქურდები“. წლების განმავლობაში ამ წესებმა უამრავი ცვლილება განიცადა, მაგრამ ძირითადი პრინციპები მაინც იგივე დარჩა. კერძოდ, ქურდებისთვის აკრძალული იყო: 1.საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა; 2. სახელმწიფო ინტერესების დაცვა იარაღით ხელში; 3.ხელისუფლებასთან

[10]მორის შალიკაშვილი, „კრიმინოლოგია“, მესამე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2017, გვ.93
[11]ავტორთა კოლექტივი (გ.ნაჭყებია, ნ.თოდუა, გ.მამულაშვილი, გ.გორაშვილი, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალიძე), „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, თბილისი, 2012 წელი, გვ.510

თანამშრომლობა დაზარალებულის ან მოწმის სახით. ამასთანავე, ქურდებისთვის სავალდებულო იყო ფულის შეტანა საერთო სალაროში („ობშიაკის“ შეგროვება)“.[12]

„კანონიერი ქურდები“ არ უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ დანაშაულის შემადგენელ ნაწილად. ისინი არიან ორგანიზებული დანაშაულის წინამძღოლები და ორგანიზატორები. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე „ქურდული სამყარო“ მნიშვნელოვნად შეიცვალა. დღეს იშვიათად შევხვდებით „კანონიერ ქურდებს“, რომლებიც მკაცრად იცავენ „ქურდულ წესებს“. თანამედროვე „კანონიერი ქურდები“ არ ერიდებიან ლეგალურ ბიზნესში შეჭრასაც და ხშირ შემთხვევაში, ცდილობენ „საზოგადოების ნაწილი გახდნენ, ბევრმა მათგანმა წარმატებული ბიზნესმენების, პოლიტიკოსებისა და ბანკირების სახე მიიღეს. ახალი თაობის კრიმინალები, თითქმის აღარ იკეთებენ სვირინგებს. „ქურდული სამყარო“ გამდიდრდა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით და დანაშაულის ჩადენის ახალი მეთოდებით. „ქურდული სამყარო“, ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა და ისეთი საშიში ორგანიზაციების გვერდით იკავებს ადგილს, როგორებიცაა, იტალიური, იაპონური და ჩინური მაფია.

1.3. „კანონიერი ქურდები“ და საქართველო

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს , „კანონიერი ქურდების“ შემადგენლობაში ქართველების ხვედრითი წილი საკმაოდ მაღალია. „ზოგიერთი მონაცემებით 1995 წლისთვის ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე „კანონიერი ქურდების“ 33%–ს შეადგენდნენ რუსები, 31%–ს ქართველები, 8%–ს სომხები, 5%–ს აზერბაიჯანელები და 22%–ს სხვა დანარჩენები. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მოსახლეობის რიცხობრივ სიმცირეს, პოსტსაბჭოეთის „კანონიერი ქურდების“ 31% მართლაც უზარმაზარი მაჩვენებელია“.[13] ჩვენს ქვეყანაში ქურდული სუბკულტურის გავრცელების ხელისშემწყობი მიზეზი გახლდათ სახელმწიფოში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე „ქურდული სამყაროს“ რომანტიზება, რასაც ხელს უწყობდა მედია,

[12]ავტორთა კოლექტივი (გ.ნაჭყებია, ნ.თოდუა, გ.მამულაშვილი, გ.გორაშვილი, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალიძე), „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, თბილისი, 2012 წელი, გვ.482

[13]ავტორთა კოლექტივი (გ.ნაჭყებია, ნ.თოდუა, გ.მამულაშვილი, გ.გორაშვილი, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალიძე), „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, თბილისი, 2012 წელი, გვ.520

სხვადასხვა ფილმებითა და სერიალებით, რომლებიც „კანონიერ ქურდებს“ ძალადობრივი სისტემის წინააღმდეგ მებრძოლ გმირებად ხატავდნენ.

„1990–იან წლებსა და 2000–იანი წლების დასაწყისში, საქართველოში სახელმწიფო და მართლმსაჯულების ინსტიტუტების უუნარობისა და კორუმპირებულობის, მწვავე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო, ორგანიზებულმა დანაშაულმა იმძლავრა და თავისი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობით გახდა გამორჩეული“.[14] რა თქმა უნდა, ამ პერიოდში განხორციელებული დანაშაულებრივი საქმიანობის სათავეში იდგნენ „კანონიერი ქურდები“.

2005 წლის 20 დეკემბერს საქართველოს ხელისუფლებამ, ამერიკულ და იტალიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, განახორციელა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის ფარგლებშიც დასჯადი გახდა, როგორც „კანონიერი ქურდობა“, ისე „ქურდული სამყაროს წევრობა“. საკანონმდებლო დონეზე განიმარტა „ქურდული სამყარო“, „ქურდული სამყაროს წევრი“, „ კანონიერი ქურდი“ და „ქურდული გარჩევა“. აღსანიშნავია, რომ მსგავსი სახის საკონონმდებლო რეგულაციები ორგანიზებულ დანაშაულთან საბრძოლველად ამერიკის შეერთებულ შტატებსაც აქვს გამოყენებული „რიკოს კანონის“ სახით, ხოლო იტალიის სისხლის სამართლის კანონის 416-ე „ბ“ მუხლი მაფიოზური ტიპის ასოციაციების ცნებას ადგენს და მას დასჯადად აცხადებს. შევეცდებით, ნაშრომის ფარგლებში მაქსიმალურად ობიექტურად იქნეს განხილული 2005 წლის 20 დეკემბრიდან დღემდე არსებული სახელმწიფო პოლიტიკა და მისი შედეგები „ქურდულ სამყაროსთან“ და „კანონიერ ქურდობასთან“ მიმართებით.

თავი II. სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპები

2.1. რაციონალური კრიმინალური პოლიტიკა, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ძრითადი საშუალება

სახელმწიფოს საქმეა შეიმუშაოს ისეთი მექანიზმები, რომელთა გამოყენებითაც სამართალდამცავი ორგანოები სამართლიანად და ეფექტურად მოახდენენ დანაშაულთან ბრძოლას. ყოველივე ამას, ხელისუფლება ახორციელებს კრიმინალური პოლიტიკის მეშვეობით. კრიმინალური პოლიტიკა ფართო გაგებით წარმოადგენს დანაშაულთან ბრძოლის მოვალეობას, რასაც სახელმწიფო სტრუქტურები არა მხოლოდ

[14]მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამმართველო, „ორგანიზებული დანაშაული“, გვ.4

რეპრესიული ქმედებებით, არამედ სხვა პრევენციული ღონისძიებების მეშვეობითაც ახორციელებენ.[15]

სისხლისსამართლებრივი და კრიმინალური პოლიტიკა ხშირად ერთი მნიშვნელობით გამოიყენება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კრიმინალური პოლიტიკა გაცილებით უფრო ფართო ცნებაა ვიდრე სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა, ეს უკანასკნელი შეგვიძლია მივიჩნიოთ კრიმინალური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილად. „პრაქტიკული თვალსაზრისით, კრიმინალური პოლიტიკა მხოლოდ სახელმწიფო საქმიანობას გულისხმობს, რომელიც ქვეყნის ძირითადი პრინციპებიდან და სტრატეგიიდან გამომდინარეობს და სამართლის ნორმის საშუალებით, ძირითადად, იურისტების მიერ ხორციელდება და დანაშაულის კონტროლს ისახავს მიზნად“.[16]

კრიმინალურ პოლიტიკას მეცნიერ-იურისტები სამ ნაწილად ყოფენ, ესენია: რაციონალური, ემოციური და პოპულისტური კრიმინალური პოლიტიკა. რაციონალურ კრიმინალურ პოლიტიკას სახელმწიფო ახორციელებს მაშინ, როდესაც ეს პოლიტიკა გამომდინარეობს მეცნიერული კვლევებიდან და არა ვინმეს პირადი სურვილიდან. ქვეყნის ემოციური კრიმინალური პოლიტიკა გულისხმობს, სახელმწიფოს სტრუქტურებისა და მეცნიერების მიერ კრიმინალური პრობლემების ემოციურად გადაწყვეტას. რაც შეეხება, ქვეყნის პოპულისტურ კრიმინალურ პოლიტიკას, აქ შეიძლება მოვიაზროთ კრიმინალურ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე მასმედიისა და საზოგადოების ზეგავლენა.[17] აღსანიშნავია, რომ სქართველოს უახლეს ისტორიაში, ყველა ხელისუფალის მიერ ტარდებოდა განსხვავებული სახის კრიმინალური პოლიტიკა, თუმცა ბოლომდე რაციონალური არცერთი მათგანის არ ყოფილა, რაციონალური კრიმინალური პოლიტიკა, რომელიც დაფუძნებული იქნება კრიმინოლოგიურ კვლევებზე მარტივი გასატარებელი ნამდვილად არაა, ის დიდ ცოდნას, დაკვირვებას, მოთმინებასა და უამრავი ფაქტორის გათვალისწინებას მოიცავს საკუთარ თავში. შეიძლება ითქვას, რომ 2004 წლიდან ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო ერთდროულად ორი სახის, ნაწილობრივ რაციონალური და ნაწილობრივ ემოციური კრიმინალური პოლიტიკის გატარება, რაც იმ დროს არსებული უმძიმესი კრიმინოგენული ვითარების გამოძახილი იყო. სრულიად საზოგადოება თანხმდებოდა, რომ

[15]მორის შალიკაშვილი, „კრიმინოლოგია“, მესამე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2017 წელი, გვ. 4

[16]მორის შალიკაშვილი, „კრიმინოლოგია“, მესამე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2017 წელი, გვ. 5

[17]მორის შალიკაშვილი, „კრიმინოლოგია“, მესამე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2017 წელი, გვ. 4

კრიმინალთან ბრძოლა უკომპრომისო უნდა ყოფილიყო და რაც შეიძლება სწრაფად ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგმულიყო ქვეყანაში არსებული ვითარების გამოსასწორებლად. ამიტომ ლოგიკურია, რომ ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა საზოგადოების საჭიროებებითა და კოლექტიური გრძნობების ზეგავლენით იყო ნაკარნახევი. პირველ ეტაპზე გატარებულმა ემოციურმა კრიმინალურმა პოლიტიკამ, რომელიც მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკაში გამოიხატებოდა და ამავდროულად ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გატარებულმა რაციონალურმა სისხლის სამართლის პოლიტიკამ, შედეგი ნამდვილად გამოიღო, კრიმინალის დონემ დაიწია, კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობდა, საქართველო უსაფრთხო ევროპულ სახელმწიფოდ გადაიქცა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ წინა ხელისუფლებას გაუჭირდა სისხლის სამართლის პოლიტიკის ბოლომდე რაციონალურ კრიმინალურ პოლიტიკად გარდასახვა და ალბათ, სწორედ ეს წარმოადგენდა მათ ერთ-ერთ ყველაზე დიდი პრობლემას.

2012 წელს შეიცვალა ხელისუფლება, ახალმა მთავრობამ საზოგადოების მოთხოვნებზე მორგებული კრიმინალური პოლიტიკის გატარება დაიწყო, ხალხში უკვე დიდი უკმაყოფილება იყო მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართ, სწორედ საზოგადოების ზეგავლენით, ან შესაძლოა მათი გულის მოსაგებად, ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია, რაც საბოლოოდ პოპულისტურ კრიმინალურ პოლიტიკაში გადაიზარდა, ვინაიდან ცვლილებები ლიბერალიზაციის მიმართულებით განხორციელდა ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე და ისინი ნაკლებად იყო დაფუძნებული მეცნიერულ კვლევებზე (მაგ. ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია). ამ საკითხს, უფრო ვრცლად კიდევ შევეხებით კონკრეტულად სახელმწიფოს მიერ „ქურდულ სამყაროსთან“ ბრძოლის მიმართულებით გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკის განხილვისას.

2.2. საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა, როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითადი მიზანი

თუ ხელისუფლების მიზანს წარმოადგენს დანაშაულთან ეფექტური ბრძოლა და ქვეყნის ეკონომიკური, იდეოლოგიური, სოციალური განვითარება, მაშინ აუცილებელია, რომ სახელმწიფოს გააჩნდეს რაციონალური კრიმინალური პოლიტიკა. ამისთვის კი საჭიროა ხელისუფლების პოლიტიკური ნება, ისეთი კრიმინალური პოლიტიკის საწარმოებლად, რომელიც მეცნიერ-იურისტთა კვლევებზე იქნება

დაფუძნებული და ამავდროულად სოციალურ და ეთიკურ ნორმებს დააკმაყოფილებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის პოლიტიკა კრიმინალური პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. სწორედ სისხლის სამართლის პოლიტიკის მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფო საზოგადოების უსაფრთხოების დაცვას. იმისათვის, რომ მოსახლეობამ იცხოვროს უსაფრთხო გარემოში და დაცული იყოს მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები საჭიროა რაციონალური კრიმინალური პოლიტიკის გატარება. სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებისას სახელმწიფოსთვის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს ადამიანის უფლებების დაცვა, ნებისმიერ საკითხზე გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკის დროს, პირველ რიგში, დაცული უნდა იქნეს საზოგადოების ინტერესები. არავის არ სურს დანაშაულის შიშში ცხოვრება და სახელმწიფო ვალდებულია, რომ საკუთარი მოქალაქეები დაიცვას დანაშაულებრივი ქმედებისგან, შეამციროს დანაშაული და ებრძოლოს მას.[18]

სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების დროს, აუცილებელია, რომ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავოს ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვას. „ადამიანის პატივისა და ღირსების დარღვევად ჩაითვლება ისეთი კრიმინალური პოლიტიკა, რომელიც ადამიანს, როგორც ობიექტს, მიზნის მიღწევის საშუალებად გამოიყენებს“.[19] იმისათვის, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებისას არ მოხდეს ადამიანის უფლებების დარღვევა და ამავდროულად შემცირდეს დანაშაული, აუცილებელია ამ პოლიტიკის რაციონალურ და გონივრულ ჩარჩოებში მოქცევა. სწორედ ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს 2006 წლის 20 დეკემბერს მიღებული სსკ–ის 223[1] მუხლი. ფაქტია, რომ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ დანაშაულთან, კერძოდ კი „კანონიერ ქურდობასთან“, მიმართებით განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკა ეფექტური და გონივრული აღმოჩნდა, „ეს ბრძოლა შეუძლებელი იქნებოდა, სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი 223[1] მუხლის შემოღების გარეშე, ისეთი ნორმის, რომელიც „კანონიერ ქურდობას“ და/ან „ქურდული სამყაროს წევრობას“ დასჯად ქმედებად გამოაცხადებდა. ამგვარი ხასიათის კრიმინალური პოლიტიკა მიჩნეულ უნდა იქნეს სწორედ რაციონალურად

[18]საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013 წ, გვ.104.

[19]მორის შალიკაშვილი, „კრიმინოლოგია“, მესამე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2017 წელი, გვ.7

(დამნაშავეობის ბრძოლისკენ მიმართულად), მით უმეტეს, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 223[1] მუხლის შემოღება და პირის ამ მუხლის საფუძველზე გასამართლება არ იქნა მიჩნეული ადამიანის უფლებების დარღვევად“.[20] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ გამოყენებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ანალიზისას, უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებები, რაც განხილული იქნება ნაშრომის ფარგლებში. გარდა რაციონალურისა, წინა ხელისუფლების მიერ „ქურდულ სამყაროსთან“ ბრძოლისას გამოყენებული სისხლის სამართლის პოლიტიკა ეფექტურიც იყო, ვინაიდან სახელმწიფომ ამ პოლიტიკის წყალობით, შეძლო თითქმის ბოლომდე აღმოეფხვრა ორგანიზებული დანაშაული და ქვეყანაში გამეფებული დაუსჯელობის სინდრომი. ნაშრომის ფარგლებში შევეცდებით ობიექტურად და ამომწურავად იქნეს შეფასებული „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის პოლიტიკა 2005 წლიდან დღემდე.

თავი III. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი საქმეზე – „იზეთ აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ“

2005 წლის 20 დეკემბერს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 223[1] მუხლი, რომლითაც დასჯადი გახდა „ქურდული სამყაროს“ წევრობა და „კანონიერი ქურდობა“. მოქალაქეების ნაწილისა და ზოგიერთი მეცნიერ-იურისტის აზრით, აღნიშნული მუხლი იყო ბუნდოვანი და მისი დისპოზიციიდან არ ირკვეოდა კონკრეტულად რა ქმედებისთვის უნდა მომხდარიყო პირის დასჯა. გარდა ამისა, ასევე კრიტიკის საფუძველი გახდა მუხლის დასახელებაც. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნდა, რომ კანონში „ქურდული სამყაროსა“ და „კანონიერი ქურდის“ ხსენება გაუმართლებელი იყო. საბოლოოდ, 2014 წლის 15 ივლისს, N 45554/08 საჩივრის ფარგლებში (აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ), ამ მუხლის შესახებ მსჯელობა მოუწია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და მან ამომწურავი პასუხები გასცა მუხლის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს.

3.1. ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების განსაზღვრა და „კანონიერი ქურდობის“ კრიმინალიზაციის პრობლემა

ვიდრე უშუალოდ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზზე გადავიდოდეთ, მინდა აღვნიშნო, რომ 223[1] მუხლის შესახებ

[20]მორის შალიკაშვილი, „კრიმინოლოგია“, მესამე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2017 წელი, გვ.8-9

უამრავი მოსაზრება გამოითქვა. იყო როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შეფასებები. ვფიქრობ ობიექტურად მიგვაჩნია, რომ „ქურდული სამყარო“ არის სახელმწიფოსთვის ყველაზე დიდი საფრთხე და მასთან სწორი მეთოდებით ბრძოლა საზოგადოების ინტერესებში შედის. „კანონიერი ქურდი“, როგორც სტატუსი, თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ უწყინარ მეტსახელს, არამედ დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელობასაც, ამიტომ ვფიქრობთ, რომ „კანონიერი ქურდის“ სტატუსის ქონა უკვე საზოგადოებრივი საშიშროების კრიტერიუმია. 2005 წლის 20 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ, სასამართლო და საგამოძიებო ორგანოები 223[1] მუხლით გათვალისწინებული ქმედებების კვალიფიკაციის დროს ხშირად კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ ბრალდებულის აღიარებით, რაც გამოიხატებოდა ორ სიტყვაში: „ქურდი ვარ“, საინტერესოა რამდენად არის საკმარისი სტატუსის აღიარება პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად და რა პოზიცია ჩამოაყალიბა ამის შესახებ სტრასბურგის სასამართლომ. „აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღიარება არ ნიშნავს ცალმხრივ აღიარებას. საჭიროა, რომ ქურდულმა სამყარომაც აღიაროს ეს პირი და მიიღოს წევრად“.[21] შესაბამისად „კანონიერი ქურდობის“ აღიარება, ბევრად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ სტატუსის აღიარება. უნდა აღვნიშნოთ, რომ ორგანიზებულ დანაშაულთან საბრძოლველად 2005 წლის 20 დეკემბერს მიღებული ნორმები წარმოშობს კვალიფიკაციის რამდენიმე პრობლემას, რომელთა აღმოფხვრა ნორმათა დისპოზიციის დახვეწითაა შესაძლებელი. მაგალითად, კანონმდებლის მიერ გამოყენებული ტერმინი „ქურდული სამყაროს“ „სპეციალური წესები“ არ არის განმარტებული არსად და რთულია იმის დადგენა, თუ რას მოიცავს ის თავის თავში. ასევე არაა მარტივი ამ წესების განსაზღვრა და მათი დასწავლა სამართალდამცავთა მხრიდან. აღნიშნული წესების ბუნდოვანება ქმნის კვალიფიკაციის პრობლემას და სამართალდამცავებს სისხლისსამართლებრივ დევნის წარმოებაში ხელს უშლის. ამიტომ ვფიქრობთ, რომ უნდა მოხდეს ამ ტერმინის დაკონკრეტება. ასევე, დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია დასჯადობამ თავად „კანონიერი ქურდობისთვის“, არის ეს სტატუსის გამო პირის დასჯა, თუ კონკრეტული ქმედებისთვის აგებს ის პასუხს. აღნიშნულ პრობლემას შეეხო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც და მისი გადაწყვეტილების ანალიზის ფარგლებში აუცილებლად გავცემთ ამ კითხვას პასუხს.

3.2. ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ტერმინების „ქურდული სამყაროს წევრისა“ და „კანონიერი ქურდის“ მიმართ

ტერმინები „ქურდული სამყაროს წევრობა“ და „კანონიერი ქურდობა“ ქართული საზოგადოებისთვის უცხო ნამდვილად არაა. ეს ტერმინები საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის დასაწყისში და დღემდე არ კარგავს აქტუალურობას. „კანონიერი ქურდობისა“ და „ქურდული სამყაროს“

[21]ავტორთა კოლექტივი, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, (წიგნი 1), თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014 წელი, მე-5 გამოცემა, გვ. 586

არსში გარკვევა რთული არაა ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქისთვის, ვინაიდან ეს ტერმინები ასოცირდება იმ მთავარ დანაშაულებრივ დაჯგუფებასთან, რომელიც საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე მოქმედებდა და ახლაც მოქმედებს. „ქურდული სამყარო“ განსაკუთრებულად კარგადაა ცნობილი ქართველებისთვის, ვინაიდან, ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრები რუსების შემდეგ რაოდენობრივად ყველაზე მეტი ქართველები იყვნენ, „ქართველი „კანონიერი ქურდები“-ს რაოდენობა კრიმინალი „ბოსების“ საერთო რაოდენობის 31.6%-ს შეადგენდა, და წარმოადგენდა რუსი „კანონიერი ქურდების“ შემდეგ მეორე უმსხვილეს ეთნიკურ ჯგუფს, რომელთა პროცენტული მაჩვენებელი 33.1%-ს შეადგენდა). ტრადიციულად ქართველი „კანონიერი ქურდების“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები განსაკუთრებული წონის მატარებელი იყო იგივე ან უფრო დაბალი რანგის კრიმინალებს შორის“.[22] შესაბამისად „ქურდული სამყარო“ ქართველებისთვის ისეთივე მტკივნეულ შავ ლაქად შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც მაფია იტალიელებისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოს მთავრობამ მოიშველია ის სოციო-სამართლებრივი კვლევები, რომლებიც გამოყენებული იქნა მთავრობის მიერ კანონპროექტის შემუშავების პროცესში. „ეგრედ წოდებული „ქურდული სამყარო“ (ქართულად) და *“воровской мир”* (რუსულ ენაზე) განიხილება, როგორც თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულის სტრუქტურის ხერხემალი მთელს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საქართველოს ჩათვლით“.[23] ამ დანაშაულებრივმა დაჯგუფებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასა და ციხის სამყაროში კრიმინალური ძალაუფლების მქონე სტრუქტურების ფორმირებაზე. შესაბამისად საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი პირისთვის რთული არაა ჩასწვდეს ტერმინების „ქურდული სამყაროს წევრისა“ და „კანონიერი ქურდის“ მნიშვნელობას. სწორედ ეს შეხედულება გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც. ზემოთ აღნიშნულმა კვლევებმა ცალსახად აჩვენა, რომ „ქურდული სამყაროს“ არსებობა და ფუნქციონირება უარყოფით გავლენას ახდენდა არა მხოლოდ ციხეების სექტორზე, არამედ ზოგადად ქართულ საზოგადოებაზე, განსაკუთრებით კი საზოგადოების ყველაზე მოწყვლად წევრებზე, ახალგაზრდებზე. ამ ყველაფრის გათვალისწინებით სასამართლომ დაადგინა, რომ „მოცემული კრიმინალური ფენომენი ძალიან ღრმად იყო გამჯდარი საზოგადოებაში 2005 წლის 20 დეკემბერს ანტიკრიმინალური საკანონმდებლო პაკეტის მიღებამდე დიდი ხნით ადრე, ამასთან „კანონიერი ქურდობის“ სოციალური ავტორიტეტი იმდენად მაღალი იყო, რომ საზოგადოების ჩვეულებრივი

[22]ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მეოთხე სექცია, განჩინება, საჩივარი N *45554/08,* აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ, სტრასბურგი, 2014 წლის 15 ივლისი

[23]ავტორთა კოლექტივი (გ.ნაჭყებია, ნ.თოდუა, გ.მამულაშვილი, გ.გორაშვილი, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალიძე), „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, თბილისი, 2012 წელი

მოქალაქეებისთვის, ისეთი ცნებები, როგორიცაა: "ქურდული სამყარო", „კანონიერი ქურდი", „ქურდული გარჩევა", „ობშიაკი" და ა.შ. წარმოადგენდა საყოველთაოდ ცოდნის საგანს და ფართო წრეებში იყო გაგებული".[24] აბსოლუტურად სწორი და გასაზიარებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აღნიშნული შეფასება. სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა, რომ ქართული საზოგადოებისთვის ჩვეულებრივ, ყოველდღიური გამოყენების სიტყვებს წარმოადგენდა და დღემდე წარმოადგენს ტერმინები „ქურდული სამყაროს წევრი" და „კანონიერი ქურდი", შესაბამისად ამ სიტყვების მნიშვნელობა ყველასთვის გასაგებია და მის შინაარსში წვდომა არავისთვის სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს.

3.3. დასჯადობის საფუძველი: ქმედება, თუ სოციალური სტატუსი?

მას შემდეგ, რაც „ქურდული სამყაროს წევრობისთვის" და „კანონიერი ქურდობისთვის" დაწესდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, გაჩნდა კითხვა: პირის დასჯა ქმედებისთვის ხდება, თუ სოციალური მდგომარეობისთვის და სტატუსისთვის? მეცნიერ-იურისტთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ მხოლოდ სოციალური სტატუსი საკმარისი არაა და აუცილებელია კონკრეტული ქმედებების განხორციელება. საკმაოდ დიდი ავტორიტეტის მქონე იურისტთა აზრით, „პირის პასუხისგებაში მიცემისთვის არაა საკმარისი მხოლოდ ის ფაქტი, რომ ეს პიროვნება საზოგადოებაში „კანონიერი ქურდის" სახელითაა ცნობილი, არამედ აუცილებელია მას დაუმტკიცონ, რომ მართავდა ან ორგანიზებას უწევდა ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს".[25] „კანონიერი ქურდის" ცნებები განმარტებულია საქართველოს კანონში ორგანიზებული დანაშაულობისა და რეკეტის შესახებ. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით: „კანონიერი ქურდი - ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად, ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს".[26] როგორც ვხედავთ, კანონი ნათლად განმარტავს ტერმინის მნიშვნელობას. ამ საკითხის ირგვლივ იმსჯელა ასევე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც და ვფიქრობთ, აბსოლუტურად მართებულ დასკვნამდე მივიდა. სისხლის სამართლის კოდექსის 223[1] მუხლი შესაძლოა გარკვეულწილად ბუნდოვანია, თუმცა ამ მუხლში გამოყენებული ტერმინები განმარტებულია ორგანიზებული დანაშაულობისა და რეკეტის შესახებ კანონში, გარდა ამისა კანონები იქმნება ზოგადი გამოყენებისთვის, ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრი

[24]ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მეოთხე სექცია, განჩინება, საჩივარი N 45554/08, აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ, სტრასბურგი, 2014 წლის 15 ივლისი

[25]ავტორთა კოლექტივი, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი", (წიგნი 1), თბ., გამომცემლობა „მერიდიანი", 2014 წელი, მე-5 გამოცემა

[26]კანონი ორგანიზებული დანაშაულობისა და რეკეტის შესახებ

კანონი არის გარდაუვალად ბუნდოვანი უფრო მცირე ან დიდი ხარისხით, მათი ინტერპრეტაცია და გამოყენება პრაქტიკაზეა დამოკიდებული, ამის დამადასტურებელი არაერთი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი. კანონთა ნებისმიერ სისტემაში, რაც არ უნდა მკაფიოდ იყოს ფორმულირებული სამართლებრივი დებულება, სისხლის სამართლის დებულების ჩათვლით, შესაძლოა არსებობდეს იურიდიული ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. სწორედ ეს აზრი აქვს გაზიარებული ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს: „ყოველთვის იქნება საეჭვო პუნქტების განმარტებებისა და ცვალებად გარემოებებთან ადაპტაციის საჭიროება. თუმცა, რა თქმა უნდა, კანონს უნდა შეეძლოს ცვალებადი გარემოებებისადმი ადაპტაცია“.[27] საბოლოოდ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ 223[1] მუხლი სრულიად შეეფერება ევროპულ სტანდარტებს და ამ მუხლით შესაძლებელია ადვილად განისაზღვროს ის ქმედებები, რომლებიც პირის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას გამოიწვევენ. ნებისმიერ პირს მარტივად შეუძლია განსაზღვროს ის ქმედებები, რომლებიც მის 223[1] მუხლით პასუხისგებაში მიცემას გამოიწვევენ ათწლეულების მანძილზე „ქურდული სამყაროს“ ქვეკულტურის საზოგადოებაში გავრცელების პირობებში არსებული ზოგადი ცოდნის საფუძველზე, ან ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონის მე-3 ნაწილში მოცემული განმარტებების საფუძველზე, ან საჭიროების არსებობის შემთხვევაში, შესატყვისი იურიდიული კონსულტაციის მიღების საფუძველზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით მიგვაჩნია, რომ ე.წ. „კანონიერი ქურდობის“ დასჯადობის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფისადმი, „ქურდული სამყაროსადმი“ კუთვნილება. თუმცა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ პირის 223[1] მუხლით დასჯა არ არის დამყარებული მის ქმედებაზე. როდესაც პირი წევრიანდება ქურდულ ორგანიზაციაში, ის ავტომატურად ეთანხმება აღნიშნული ორგანიზაციის კრიმინალურ საქმიანობას, ასევე თანხმობას აცხადებს ამ ორგანიზაციის მიერ ჩადენილ და ჩასადენ დანაშაულებზე, აცხადებს მზადყოფნას იმოქმედოს ამ ორგანიზაციის ინტერესების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, „ქურდული სამყაროს წევრისა“ და „კანონიერი ქურდის“ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დამყარებულია მათივე ქმედებაზე, შესაბამისად „კანონიერი ქურდობის“ დასჯადობისას სახეზეა არა სოციალური სტატუსის

[27]ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მეოთხე სექცია, განჩინება, საჩივარი N 45554/08, აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ, სტრასბურგი, 2014 წლის 15 ივლისი

გამო დასჯადობა, არამედ დასჯადობა ქმედების გამო. „ქურდად „კურთხევის“ დროს პირი აცხადებს თანხმობას ქურდული ორგანიზაციის წევრობაზე, იგი ეთანხმება კრიმინალურ „ნორმებს“, ჩადენილ და ჩასადენ დანაშაულებს, დებს ერთგულების ფიცს. „კანონიერი ქურდის“ ქურდულ ორგანიზაციაში შესვლა უკვე სოციალურად საშიში ქმედებაა, რომელიც დამთავრებულ დანაშაულად უნდა განვიხილოთ“.[28] მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საბოლოოდ დაადგინა კონკრეტულად რის გამო ხდება პირის დასჯა სსკ-ის 223[1] მუხლით, ეს გადაწყვეტილება დაასრულებს დავას და არაერთგვაროვან მიდგომას 223[1] მუხლთან დაკავშირებით.

თავი IV. „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი 2005 წლიდან დღემდე

4.1. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა „ქურდული სამყაროს წევრებისა“ და „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ

2003 წლამდე საქართველოში შექმნილი იყო უმძიმესი კრიმინოგენული ვითარება, ამაზე მეტყველებს არა მხოლოდ მოსახლეობის იმდროინდელი შეფასებები, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც 2003 წლის იანვრის თვეში ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა 32–ს აღემატებოდა, რაც სამინისტროს მონაცემებით წინა წელზე გაცილებით მეტი იყო. ეს ოფიციალური მონაცემები გახლავთ, რომელიც სამწუხაროდ სათანადოდ არ აღირიცხებოდა, არაოფიციალური მონაცემებით კი მდგომარეობა ბევრად უფრო შემაშფოთებელი იყო. ამას ადასტურებს, 2003 წლის 24 თებერვალს საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განცხადებაც, რომლის მიხედვითაც „საქართველოში დანაშაული კი არ კლებულობს, არამედ მატულობს, რაც მიუღებელია და უნდა აღიკვეთოს. სამართალდამცავებმა უნდა დაიწყონ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა“.[29] მიუხედავად პრეზიდენტის ამ განცხადებისა, მდგომარეობა უკეთესობისკენ არ შეცვლილა. ეს კი გამოწვეული იყო იმით, რომ სამართალდამცავები თავად იყვნენ ჩაბმული კორუფციაში. სამართალდამცავ ორგანოთა მიმართ

[28]ავტორთა კოლექტივი (გ.ნაჭყებია, ნ.თოდუა, გ.მამულაშვილი, გ.გორაშვილი, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალიძე), „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, თბილისი, 2012 წელი

[29]საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განცხადება 2003 წლის 24 თებერვალი

მოსახლეობის ნდობა დაბალი იყო. ხელისუფლება ბევრს ვერაფერს აკეთებდა, „რადგან არ არსებობდა მთავრობის პოლიტიკური ნება და შესაძლებლობა რაიმეს შესაცვლელად“.[30] ქვეყანაში მძვინვარებდა კორუფცია და კრიმინალი. სახელმწიფოსთვის ერთ–ერთ ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენდა ე.წ. „ქურდული სამყარო“. მოგეხსენებათ, საქართველო საბჭოთა კავშირში ყოველთვის გამოირჩეოდა „კანონიერი ქურდების“ დიდი რაოდენობით. თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ზუგდიდი, სოხუმი და სხვა ქალაქები უხვად ამარაგებდნენ უზარმაზარ საბჭოეთს კრიმინალური ავტორიტეტებით. გასული საუკუნის 90–იან წლებში ე.წ.-მა „ქურდულმა სამყარომ“ საქალთველოში ფორმალური ძალაუფლების მოპოვებაც კი შეძლო. მოგვიანებით ედუარდ შევარდნაძემ მოახერხა ფორმალური ძალაუფლების დაბრუნება, თუმცა „კანონიერმა ქურდებმა“ შეძლეს არაფორმალური გავლენების შენარჩუნება.

როგორც ხედავთ, ამ კუთხით 2003 წლამდე ქვეყანაში უმძიმესი ვითარება გვქონდა. ბალანსი ელიტარულ და ქურდულ კონსტრუქციებს შორის, მკვეთრად ირღვევა 2004 წლიდან, როცა შევარდნაძის შემდეგ მოსული ხელისუფლება იწყებს ბრძოლას „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ. 2004 წლის თებერვალში იუსტიციის მინისტრის მაშინდელმა მოადგილემ გიგი უგულავამ განაცხადა: „ახალი მთავრობა იწყებს „კანონიერი ქურდის“ ინსტიტუტთან კომპლექსურ ბრძოლას, უარს ამბობს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კოლონიური სისტემის პრაქტიკაზე და ამკაცრებს კანონმდებლობას“.[31] კანონმდებლობაში მართლაც შევიდა ცვლილებები, რომელთა მიხედვითაც დასჯადი გახდა, როგორც „კანონიერი ქურდობა“ ასევე „ქურდული სამყაროს“ წევრობა. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2006 წლის 14 თებერვალს ყოველწლიური ანგარიშის პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე წარდგენისას განაცხადა: „ვაცხადებ ახალ კანონპროექტს – ნულოვანი ტოლერანტობა წვრილმანი დანაშაულის მიმართ! სისხლის სამართლის კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილებები, რომელიც ბინის ძარცვაზე, ჯიბგირობასა და ნარკოტიკების შენახვაზე გამკაცრებულ სასჯელს ითვალისწინებს. ამ დანაშაულებზე პირობითი სასჯელი უნდა გაუქმდეს – ყველა ციხეში“![32] როგორც ხედავთ, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ნულოვანი ტოლერანტობის კრიმინალური პოლიტიკის გამოყენება. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას საფუძვლად

[30]„კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში“. საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა. მსოფლიო ბანკი The World Bank 2012. გვ.4.
[31]იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიგი უგულავას განცხადება 2004 წლის თებერვალი
[32]საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიური ანგარიში პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე, 2006 წლის 14 თებერვალი, გვ.26.

უდევს ამერიკელი სოციოლოგების ჯეიმს ვილსონისა და ჯორჯ კელინგმას მიერ ჩამოყალიბებული „Broken Windows“თეორია.[33] „ვილსონის და კელინგმას აზრით, იმისთვის, რომ აღიკვეთოს დანაშაულის ჩადენა საჭიროა გაიზარდოს დანაშაულის გამოვლენის მაჩვენებელი და დანაშაულზე სახელმწიფო და სოციალური კონტროლი. კრიმინალური ქმედებების აღკვეთისათვის აუცილებელია, პოლიციისა და იუსტიციის სამსახურების მიერ დანაშაულების გახსნა და დამნაშავეების დასჯა. სახელმწიფოს კრიმინალური პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს, ისეთი სოციალური ატმოსფეროს შექმნა, სადაც მოქალაქეები დამნაშავეებისგან თავს დაცულად იგრძნობენ, სადაც ადამიანებს სჯერათ წესრიგის და ქვეყანაში მოქმედი ნორმათა სისტემის“.[34] ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა პირველად სწორედ ქალაქ ნიუ–იორკში განხორციელდა, რის შედეგადაც „საგრძნობლად იკლო ძალადობრივმა დანაშაულებმა. მეტროპოლიტენი გახდა უსაფრთხო და გადაიქცა გადაადგილების ძირითად საშუალებად. ნულოვანი ტოლერანტობის უარყოფითი შედეგი იყო ის, რომ გაჩნდა მოქალაქეთა საჩივრები პოლიციის წინააღმდეგ ძალის ან უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებებით “.[35]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2006 წლის 14 თებერვალს კრიმინალის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის განხორცილება დააანონსა, რაც გულისხმობდა, რომ სახელმწიფო ნებისმიერი სიმძმისა და ნებისმიერი სახის დანაშაულზე მოახდენდა მკაცრ და მყისიერ რეაგირებას. სახელმწიფოს მიერ გასატარებელ პოლიტიკას დეტალურად აღწერდა იუსტიციის სამინისტრო: „ნულოვანი ტოლერანტობის მიზანია არ დატოვოს არცერთი დანაშაული, თუნდაც წვრილმანი, რეაგირების გარეშე და ამ გზით მინიმუმამდე დაიყვანოს ქვეყანაში დანაშაულის დონე, შეცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ და აღმოფხვრას დაუსჯელობის სინდრომი“.[36] ეს გახლდათ სახელმწიფოს ოფიციალური პოზიცია ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკასთან მიმართებით.

---

[33]Wilson, J. Q./Kelling, G.I., 1996. S. 121-137

[34]მორის შალიკაშვილი, „არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები“, თბ., 2013 წელი, გვ.22

[35]მორის შალიკაშვილი, „არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები“, თბ., 2013 წელი, გვ.23

[36]„ნულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაციისაკენ“. ციხის საერთაშორისო რეფორმა. თბ., 2011წელი. გვ.3

4.2. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შედეგები „ქურდულ სამყაროსთან“ ბრძოლის მიმართულებით

კრიმინალის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას საქართველოში ჰქონდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგებიც. ვეცდებით, მაქსიმალურად ობიექტურად შემოგთავაზოთ ამ შედეგების მიმოხილვა. რთულია არ დავეთანხმოთ იუსტიციის სამინისტროს პოზიციას, რომლის მიხედვითაც: ნულოვანი ტოლერანტობის შედეგად საქართველო გათავისუფლდა, როგორც ორგანიზებული, ისე წვრილმანი დანაშაულისგან და გახდა ერთ–ერთი ყველაზე უსაფრხთო ქვეყანა. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის დადებით შედეგად უნდა მივიჩნიოთ სამართალდამცავ ორგანოთა მიმართ ნდობის გაზრდა რაც, როგორც წესი, პოზიტიურად მოქმედებს საზოგადოებაში უსაფრთოების აღქმაზე.

2010 წლის გაზაფხულზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივითა და ევროკავშირის დაფინანსებით ჩატარდა „დანაშაულებათა კვლევა საქართველოში“, რომლის მიხედვითაც საქართველოს კრიმინოგენური სიტუაციის შეფასებისას საკმაოდ პოზიტიური შედეგები გამოვლინდა. „გამოკითხული მოსახლეობის 72% თვლის, რომ დანაშაულის დონემ დაიკლო, 16% თვლის, რომ კრიმინოგენური სიტუაცია გაუარესდა, ხოლო 7%–ის აზრით დანაშაულის დონე არ შეცვლილა. სამართლებრივი რეფორმების შედეგები – სამართლდამცავი ორგანოების გაუმჯობესებული მუშაობა (58%) და სწორი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა – „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ეფექტური ზომების გატარება (34%) დასახელდა დანაშაულის შემცირების მიზეზად“.[37] ორგანიზებული დანაშაულის შემცირებასთან ერთად, ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის მიღწევად უნდა მივიჩნიოთ კორუფციული დანაშაულის შემცირებაც. გარდა დადებითი შედეგებისა, ასევე აღსანიშნავია საქართველოში კრიმინალის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის მიერ გამოწვეული უარყოფითი შედეგებიც, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: „მსჯავრდებულთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა. მსჯავრდებულთა რაოდენობის კატასტროფულმა ზრდამ, გადატვირთულობამ, თავის მხრივ, გამოიწვია შემდეგი უარყოფითი შედეგები: ციხის პირობების გაუარესება, მსჯავრდებულთა სიკვდილიანობის ზრდა, მსჯავრდებულთა

[37]„დანაშაულთა კვლევა საქართველოში“, კვლევა ჩატარდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივითა და ევროკავშირის დაფინანსებით, კვლევის ტექნიკური ნაწილი განახორციელა კომპანია „გორბი“–მ. საბოლოო ანალიზი მოამზადეს ვიქტიმილოგიისა და ადამიანის უსაფრთხოების პროფესორმა – იან ვან დაიკმა, და კრიმინოლოგიის პროფესორმა გიორგი ღლონტმა

ჯანმრთელობის პრობლემების გაუარესება, მსჯავრდებულთა უფლებების სისტემატიური დარღვევა“[38]. ასევე, ამ პოლიტიკის უარყოფით შედეგად შეგვიძლია მივიჩნიოთ, პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების არაერთი ფაქტი , რომელიც დაფიქსირებულია საქართველოს სახალხო დამცველის 2010-2011 წლების საანგარიშო საპარლამენტო მოხსენებებში. როგორც ვხედავთ, ნულოვანმა ტოლერანტობამ საქართველოში მოიტანა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები, თუმცა, აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პოლიტიკის შედეგად მიაღწია სახელმწიფომ დიდ წარმატებას ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში. ქვეყანა ფაქტობრივად გათავისუფლდა კრიმინალური ავტორიტეტების არაფორმალური გავლენებისგან. ეს კი, პირველ რიგში, გამოწვეული იყო სწორი საკანონმდებლო ცვლილებებისა და ხელისუფლების პოლიტიკური ნებისგან. საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის ადგილობრივ და ყველაზე სახიფათო სახეს სწორედ „ქურდული სამყარო“ წარმოადგენს, რომელიც განსაკუთრებული საშიშროებით გამოირჩევა იმ თვალსაზრისით, რომ მისი მასშტაბი მხოლოდ ერთ დანაშაულს არ მოიცავს და მიმართულია სახელმწიფოსა და საზოგადოების წინააღმდეგ. 2005–2006 წლებში კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები რომელთა მიხედვითაც, დასჯადი გახდა როგორც „კანონიერი ქურდობა“, ასევე „ქურდული სამყაროს“ წევრობა. სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 223[1] მუხლი, რომელიც დასჯადად აცხადებს როგორც „ქურდული სამყაროს“ წევრობას ისე „კანონიერ ქურდობას“. ასევე მიღებულ იქნა კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“. აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა პოზიტიური შედეგები გამოიღო. „ქურდულ სამყაროში“ ჩაბმული ადამიანების უმეტესობა მოთავსებულ იქნა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო ნაწილმა მოახერხა ქვეყნის საზღვრების დატოვება. მაშინდელი იუსტიციის მინისტრის მოადგილის ოთარ კახიძის თქმით, ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის ფარგლებში „კანონიერ ქურდებს ასევე ჩამოერთვათ დაუსაბუთებელი ქონება და დაყადაღდა მათი საბანკო ანგარიშები. მნიშვნელოვანი ცვლილებები გატარდა საპატიმროებში: საიმედოდ ჩაიკეტა ე.წ. „ქურდული კამერები“, რამაც ქურდებს სხვა პატიმრების მართვის შესაძლებლობა მოუსპო. ქურდებს ჩამოერთვათ ძვირადღირებული ავტომობილები და მათ მდიდრულ სახლებში გაიხსნა პოლიციის განყოფილებები“.[39] სამართალდამცავი

[38]მორის შალიკაშვილი, „არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები“, თბ., 2013 წელი, გვ.25

[39]იუსტიციის მინისტრის ყოფილი მოადგილის ოთარ კახიძის განცხადება 2018 წლის 28 ივლისი

ორგანოებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მტკიცე და პრინციპული დამოკიდებულება „ქურდული სამყაროს“ მიმართ აბსოლუტურად გაზიარებული აქვს სასამართლო ხელისუფლებასაც, რაც გამოხატულია „კანონიერი ქურდების“ მიმართ გამოტანილი განაჩენების დასაბუთებებში.

ჩვენ მიერ განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შესახებ, საერთო სასამართლოების მიერ, 2006 წლიდან დღემდე გამოტანილ გადაწყვეტილებების გაცნობა. ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2006 წლიდან 2012 წლის ჩათვლით 223[1] მუხლით განხილულ სისხლის სამართლის საქმეებზე ერთი გამამართლებელი განაჩენიც კი არ ყოფილა გამოტანილი. კონკრეტული საქმეების გაცნობისას დგინდება, რომ პირის მიმართ „კანონიერ ქურდობაზე“ გამოტანილი განაჩენები ძირითადად ეყრდნობოდა მოწმეთა ჩვენებებს (ჩვენებათა უმეტესობა იყო ირიბი), ასევე ოპერატიული აღრიცხვის სტატისტიკურ ბარათებს, რომელიც ივსება ე.წ. „კანონიერ ქურდებზე“ და ქურდული ტრადიციების მატარებელ პირებზე. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება (საქმის ნომერი 2კ–1823აპ.–07), რომლის სამოტივაციო ნაწილში სასამართლო განმარტავს შემდეგს: „საქმეში არსებული მტკიცებულებებით დადგენილია, რომ ხონის შს რაიგანყოფილებაში მ.ჯ.–ზე , როგორც „კანონიერ ქურდზე“ მეტსახელად „ტაფარო“, 2001 წლის 5 აგვისტოდან შექმნილი იყო ოპერატიული აღრიცხვის საქმე 14 სტატისტიკური ბარათით, რომელიც ივსება ე.წ. „კანონიერ ქურდებზე“ და ქურდული ტრადიციების მატარებელ პირზე, რომლებიც ცხოვრობენ (ან ცხოვრობდნენ) საქართველოს ტერიტორიაზე, ან გასული არიან მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ გააჩნიათ ნათესაური და დანაშაულებრივი კავშირი საქართველოსთან. იმავე მტკიცებულებებით დადგენილია, რომ მ.ჯ–ი ე.წ „კანონიერი ქურდი“ იყო ორი წელი, რის შემდეგ ოპერატიულმა სამსახურმა მოახდინა მისი კომპრომეტირება, თუმცა იგი შემდეგაც აგრძელებდა „ქურდული სამყაროს“ წევრობას, იყო ავტორიტეტი და ლიდერი“.[40] სასამართლოსთვის აღნიშნული ფაქტები საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მ.ჯ. დამნაშავედ ეცნოთ სისხლის სამართლის კოდექსის 223[1] მუხლის პირველი ნაწილით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია). აღსანიშნავია, რომ „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენები ხშრად 223[1] მუხლთან ერთად, მოიცავდა სხვა რომელიმე კონკრეტულ დანაშაულსაც. განსაკუთრებით

[40]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. საქმის ნომერი 2კ–1823აპ.–07. 2008 წელი

ხშირად გვხდება 223[1] და 260–ე მუხლის ერთობლიობა. ასეთი შემთხვევების მიმართ, უზენაესი სასამართლოს პოზიცია ძირითადად ერთგაროვანი გახლდათ. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა საქმეზე № 2კ –663ა.პ.–10 აცხადებს: „მსჯავრდებულის მიმართ ინკრიმინირებული დანაშაული წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1] მუხლის მეორე ნაწილითა და 260–ე მუხლის მე–2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებებს და ამ კატეგორიის საქმეებზე, როგორც სამართლებრივი, ასევე საპროცესო შეფასების თვალსაზრისით, არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც სწორადაა ასახულია სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში“.[41] ზუსტად იგივე სახის ტექსტი გვხვდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ განხილულ სხვა ანალოგიურ საქმეებში: საქმის ნომერი 2კ–1148ა.პ.–10, ასევე საქმის ნომერი 2კ–314ა.პ.–11 და ა.შ. როგორც ვხედავთ, სასამართლოს მიდგომა 223[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ბრალდებულების მიმართ ერთგვაროვანი იყო და 2012 წლამდე ამ მუხლით ბრალდებული პირების მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა. შედეგად, „კანონიერი ქურდების“ გავლენა ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა. ყველა მათგანი დადგა არჩევანის წინაშე: წასულიყო ან ციხეში, ან ემიგრაციაში. სახელმწიფო ფაქტობრივად გათავისუფლდა „ქურდული სამყაროს“ გავლენისგან.

4.3. დღეს არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკა „ქურდული სამყაროს წევრობასა“ და „კანონიერ ქურდობასთან“ მიმართებით

2012 წელს საქართველოში შეიცვალა ხელისუფლება. მთავრობაში მოვიდა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“, რომლის წინასაარჩევნო პროგრამის ერთ–ერთი მთავარი პრიორიტეტი გახლდათ სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია. „ქართული ოცნება“ მოსახლეობას დაპირდა შემდეგს: „შეიზღუდება პროკურატურის განუსაზღვრელი უფლებამოსილება. გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპზე ბრალდებულისა და დაზარალებულის უფლებების დაცვა უზრუნველყოფილი იქნება. ათასობით უკანონოდ თავისუფლებააღკვეთილის დარღვეული უფლებების აღსადგენად გონივრულ ვადებში გადაისინჯება მათი საქმეები. გადაიხედება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისათვის, აგრეთვე პირადი მოხმარებისათვის მისი

[41]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. საქმის ნომერი 2კ –663ა.პ.–10 . 2011 წელი

მცირე ოდენობით შეძენის ან შენახვისთვის“.[42] შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია ახალი ხელისუფლების ერთ–ერთი მთავარი დაპირება გახლდათ. პირველ რიგში, ვფიქრობთ, საინტერესოა გავარკვიოთ, თუ რას მოიცავს ტერმინი „სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია“. „ტერმინი ლიბერალიზმი ნიშნავს პოლიტიკურ დოქტრინას, რომლის თანახმად, ადამიანის პიროვნება ცხადდება თავისუფალ არსებად, სახელმწიფოს დასჯითი პოლიტიკის შეზღუდვის მოთხოვნისა და პირადი ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგ გალაშქრებით“.[43] სწორედ სისხლის სამართლის პოლიტიკის მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფო ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. „როგორც გურამ ნაჭყებია განმარტავს, ლიბერალიზმის პოლიტიკური ასპექტი იმაში მდგომარეობდა, რომ ინდივიდი, ესე იგი ადამიანი, პიროვნება ცხადდებოდა თავისუფალ არსებად, ხოლო მისი თავისუფლების შეზღუდვა სახელმწიფოს მხრივ დაუშვებლად იყო მიჩნეული. ამავე დროს, ლიბერალიზმი იყო პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც სისხლის სამართლის პოლიტიკის სფეროში მნიშვნელოვან გარდატეხას გულისხმობდა. იმის მიუხედავად, რომ ლიბერალიზმის სხვადასხვა სახე არსებობდა, ის მაინც ერთიანი იყო იმაში, რომ პიროვნების თავისუფლება იყო აბსოლუტური, ხოლო სახელმწიფოს მისი შეზღუდვა ეკრძალებოდა. აქედან გამომდინარე ავტორი ფიქრობს, რომ ლიბერალიზმი თანამედროვე პირობებში გარკვეულ შესწორებას მოითხოვს, რადგან თავისუფლება, რომელიც არ არის ნაზიარები პიროვნების პოზიტიურ პასუხისმგებლობასთან, სხვა არაფერია თუ არა თვითნებობა და არა ნამდვილი თავისუფლება. აქედან გამომდინარე, ლიბერალიზმის თანამედროვე ინტერპრეტცია თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ერთიანობის იდეას უნდა ემყარებოდეს“.[44] ახალმა ხელისუფლებამ სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მიმართულებით მართლაც გადადგა გარკვეული ნაბიჯები. გარდა ხელისუფლების პოლიტიკური ნებისა, მთავრობამ დაიწყო კონკრეტულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ 2013 წელს შეიმუშავა საქართველოს სისხლის სამართლის მართმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია, რომლის მიხედვითაც „სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის ძირითადი მიზანია, სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის

[42]ამონარიდები პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამიდან
[43]ავტორთა კოლექტივი (გ. დაჭყებია, ნ.თოდუა, მ.ლეკვეიშვილი, მ.ივანიძე, თ.ცქიტიშვილი, ქ.მჭედლიშვილი–ჰედრიხი). „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში; გამომცემლობა „მერიდიანი“; თბ.2016 წ., გვ.13
[44]https://tsu.ge/science/?leng=ge&lcat=jurnal&jnomeri=7&tid=11

პოლიტიკასთან და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა“.[45] როგორც ვხედავთ, საქართველოს ხელისუფლებამ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის პოლიტიკა არა მხოლოდ განაცხადა, არამედ მის შესახებ კონკრეტული სტრატეგიაც შეიმუშავა. სწორედ ამ პოლიტიკის შედეგად უნდა მივიჩნიოთ, არასრულწლოვანთა მართმსაჯულების კოდექსის შექმნა, ასევე ცალკეულ ქმედებათა დეკრიმინალიზაცია, რაც, მაგალითად გამოიხატა ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციაში, რის თაობაზეც განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა 2016 წელს განაცხადა: „დეკრიმინალიზაცია, ან ზოგადად სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია უკვე მომხდარია, მიუხედავად იმისა, რომ ამას ზოგიერთები არ აღიარებენ“.[46] გარდა ამისა, მოხდა სასჯელთა ლიბერალიზაცია, ალტერნატიული სასჯელების გაფართოებისა და დახვეწის თვალსაზრისით, რაც სისხლის სამართლის კოდექსში შინაპატიმრობის ინსტიტუტის შემოტანაში გამოიხატა. ცვლილებები განხორციელდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაშიც. „დავას არ იწვევს ის დებულება, რომ მატერიალური სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. მატერიალური სისხლის სამართლის ძრითადი ცნებები, იმის მიუხედავად, რომ ისინი დამოუკიდებელნი არიან, როგორც თეორიული კვლევის ობიექტები, დანაშაულის ჩადენის გამო პროცესუალური ურთიერთობის ფორმაში ერთვებიან“.[47] სწორედ ამიტომ, ახალმა ხელისუფლებამ დაიწყო, როგორც სისხლის სამართლის კანონმდებლობის მატერიალური, ისე პროცესუალური ლიბერალიზაცია. მაგალითად: „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის (07–3/511,19.11.15) მიზანში პირდაპირაა მითითებული, რომ „კანონპროექტის მიღების მიზანია სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს საპროცესო კანონმდებლობის ჰუმანიზაციას და წაახალისებს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებს“.[48]

---

[45]სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო, საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია. 2013–2017წწ. გვ.3

[46]განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის სოზარ სუბარი განცხადება, 2016 წლის 16 აგვისტო

[47]ავტორთა კოლექტივი (გ. ნაჭყებია, ნ.თოდუა, მ.ლეკვეიშვილი, მ.ივანიძე, თ.ცქიტიშვილი, ქ.მჭედლიშვილი–ჰედრიხი). „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში; გამომცემლობა „მერიდიანი“; თბ.2016., გვ.94

[48]კანონპროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, 07–3/511,19.11.15.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაცია არ შეხებია სისხლის სამართლის კოდექსის 223[1] მუხლს. თუმცა, ხელისუფლების მიერ გატარებულმა ლიბერალურმა სისხლის სამართლის პოლიტიკამ გავლენა იქონია 223[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შესახებ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებებზე. ეს კი გამოიხატა, „კანონიერ ქურდობაში“ ბრალდებული პირების მიმართ დამდგარ გამამართლებელ განაჩენებში. აღსანიშნავია, რომ 2012 წლამდე 223[1] მუხლით ბრალდებული არც ერთი პირი არ იყო გამართლებული. სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ეს პრაქტიკა ხელისუფლების ცვლილების შემდგომ შეიცვალა, რასაც საზოგადოებასა და პრესაში მწვავე გამოხმაურება მოჰყვა. ამის საპასუხოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციას სპეციალური განცხადების გაკეთებაც კი მოუწია: „2014 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 6 საქმეზე 10 პირის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 10 პირიდან 9 პირის მიმართ განაჩენი დადგენილია სსკ–ის 223[1] მუხლის 1–ლი ნაწილით, რაც გულისხმობს „ქურდული სამყაროს წევრობას“ და არა „კანონიერ ქურდობას“, ხოლო სსკ–ის 223[1] მუხლის მეორე ნაწილით „კანონიერი ქურდობა“ – გამამართლებელი განაჩენი მხოლოდ ერთი პირის მიმართ არის დადგენილი“.[49] ლოგიკური იქნება რომ, აღნიშნული გადაწყვეტილებები სწორედ სისხლის სამართლის ლიბერალური პოლიტიკის შედეგად მივიჩნიოთ, აქვე აღსანიშნავია, რომ „ქურდული სამყაროს წევრი“ „კანონიერ ქურდზე“ არანაკლებ საშიშია საზოგადოებისთვის. მართალია, საკანონმდებლო ცვლილებები 223[1] მუხლს არ შეხებია, თუმცა ხელისუფლების ლიბერალურ მიდგომებს, როგორც პოლიტიკურ ნებას, ნორმატიულ აქტში გამოხატვის გარეშეც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. ლიბერალიზმს, როგორც სახელმწიფო პოლიტიკურ დოქტრინას, თუ ის ხელისუფლების მიერ იქნება აქტიურად მხარდაჭერილი, არ სჭირდება რაიმე სახის ნორმატიული გამოხატვა იმისთვის, რომ ზეგავლენა მოახდინოს, თუნდაც სასამართლო გადაწყვეტილებებსა და არსებული სასამართლო პრაქტიკის შეცვლაზე. ორგანიზებული დანაშაულის მიმართ განხორციელებული ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკა, საბოლოოდ აზიანებს და პრობლემებს უქმნის კონსტიტუციით გარანტირებულ პიროვნების თავისუფლად განვითარების უფლებას. შეუძლებელია მოძლიერებული „ქურდული სამყაროს“ პირობებში ადამიანმა მოახერხოს საკუთარი პიროვნების

[49] www.supremecourt.ge

თავისუფლად განვითარება, ისე, რომ მას ცხოვრებისეულ, ან კარიერულ გზაზე კრიმინალურმა სამყარომ პრობლემები არ შეუქმნას.

ახალი ხელისუფლების მიერ სისხლის სამართლის ლიბერალური პოლიტიკის გატარებამ „კანონიერი ქურდების“ გავლენის სფეროსგან გათავისუფლებული სახელმწიფო, გარკვეულწილად, კვლავ დააყენა ორგანიზებული დანაშაულის გაძლიერების საფრთხის ქვეშ. აქედან გამომდინარე, ლოგიკური ეჭვი ჩნდება, რომ ბოლო პერიოდში „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის კანონმდებლობის გამკაცრებაც, იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ხელისუფლება და ძალოვანი სტრუქტურები შეშფოთებულნი არიან წლების წინ „კანონიერი ქურდების“ მიერ დათმობილი გავლენების კვლავ ზრდით. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებამ დაინახა ის საფრთხე რაც შეიძლება გამოეწვია „ქურდული სამყაროს“ მიმართ გატარებულ ლიბერალურ სისხლის სამართლის პოლიტიკას. სწორედ ამიტომ, მათ გადაწყვიტეს „ქურდული სამყაროს წევრებისა“ და „კანონიერი ქურდების“ მიმართ კანონის გამკაცრება. ამ დანაშაულისათვის გაიზარდა სასჯელის ვადები. ამავე დროს შემოვიდა ე.წ. პასიური წევრის ცნებაც, რომელიც გულისხმობს „ქურდული სამყაროს“ მხარდაჭერას. დაკონკრეტდა ქმედებები, რომლებიც მანამდე დავის საგანს წარმოადგენდა. მაგალითად: „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვა უკვე ცალსახად არის კრიმინალიზებული ქმედება და დანაშაულად ითვლება. ანუ კანონმდებლობა გამკაცრდა დეფინიციის დონეზეც და სასჯელების კუთხითაც. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ კანონპროექტის პარლამენტში განხილვამდე განაცხადა: „კრიმინალური მენტალიტეტი და ორგანიზებული დანაშაული არის ძალზედ დიდი რისკის შემცველი და ფაქტობრივად ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის შემთხვევა და კომპონენტი, რომელიც ქვეყნის განვითარებას აფერხებს. უნდა შევთანმხდეთ იმაზე, რომ წარმატებულ ქვეყანას ვერ ავაშენებთ, თუ ამ გამოწვევას სათანადოდ ვერ ვაფასებთ“.[50] ვფიქრობთ, მინისტრის ეს პოზიცია და აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები მისასალმებელია, თუმცა მაინც უმთავრესად მიგვაჩნია ამ ზომების ცხოვრებაში გატარება, ვინაიდან „კანონიერი ქურდების“ მიმართ კანონმდებლობა მანამდეც საკმაოდ მკაცრი იყო, მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკის შედეგად „ქურდული სამყარო“ კვლავ გაძლიერდა, რის გამოც ხელისუფლებას მოუწია კანონმდებლობის კიდევ უფრო გამკაცრება და დაკონკრეტება. ეს ყველაფერი შედეგს იმ შემთხვევაში გამოიღებს, თუ მოხდება აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების

[50]შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი გახარიას განცხადება, 2018 წლის 2 თებერვალი

პრაქტიკაში სწორად და ეფექტურად გატარება. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ „ქურდული სამყაროს“ წევრების მიმართ ძალოვანი ორგანოების პოლიტიკაც გამკაცრდა. მაგალითად, საქართველოს პროკურატურის 2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშში ვკითხულობთ: „საქართველოს პროკურატურისთვის ერთ–ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლა. 2018 წლის 1 მაისს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შედეგად კრიმინალიზებული იქნა ისეთი ქმედებები, როგორიცაა „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობა, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერა და „ქურდული სამყაროს წევრისთვის/კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვა ან ამ მიმართვის შედეგად მატერიალური სარგებლის ან მატერიალური უპირატესობის მიღება“.[51] აღსანიშნავია, რომ 2018 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის დაიწყო 27 პირის, „კანონიერი ქურდობისთვის“ – 3 პირის, „ქურდული შეკრებაში“ მონაწილეობისთვის – 14 პირის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერისთვის – 5 პირის და „ქურდული სამყაროს წევრისთვის/კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვა ან მიმართვის შედეგად მატერიალური სარგებლის ან მატერიალური უპირატესობის მიღებისთვის – 2 პირის მიმართ. ჯამში, 2018 წელს აღნიშნულ დანაშაულთა გამო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 49 პირის მიმართ, რაც თითქმის სამჯერ მეტია 2016 და 2017 წლების მაჩვენებელზე. ამ მიმართულებით აქტიურად დაიწყო მუშობა შინაგან საქმეთა სამინისტრომაც, მაგალითად 2018 წლის 18 ივნისს „ქურდული სამყაროს“ წევრობის ბრალდებით ერთ დღეში დაკავებული იქნა 6 პირი. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, აღნიშნული დანაშაულის თაობაზე „2018 წელს სასამართლოს მიერ გამოტანილი 11 განაჩენიდან 3 გამამართლებელია“,[52] რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია, რომ მხოლოდ კანონმდებლობის გამკაცრება „კანონიერ ქურდობასთან“ ბრძოლისას საკმარისი არ არის, უნდა მოხდეს ამ კანონის პრაქტიკაში სწორად განხორციელება.

4.4. „ქურდული სამყაროს წევრობისა“ და „კანონიერი ქურდობის“ დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვების სირთულეები

იმის დასადგენად, თუ რა გახდა მიზეზი ბოლო წლებში 223[1] მუხლით ბრალდებული პირების მიმართ დამდგარი არაერთი გამამართლებელი

[51]საქართველოს პროკურატურის 2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში. 14 მაისი 2019 წელი, გვ.33

[52]საქართველოს პროკურატურის 2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში. 14 მაისი 2019 წელი, გვ.34

განაჩენისა და მანამდე არსებული სასამართლო პრაქტიკის შეცვლისა, გავეცანით სასამართლო გადაწყვეტილებებს და რამდენიმე საინტერესო ფაქტი აღმოვაჩინეთ. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ გამამართლებელი გადაწყვეტილებების დასაბუთებისას მოსამართლეები სამოტივაციო ნაწილში ერთ–ერთ საფუძვლად მიუთითებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებას, „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“(22.01.2015 №1/1/548), რომლის ფარგლებშიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმებზე. სასამართლომ დააკმაყოფილა ზურაბ მიქაძის სასარჩელო მოთხოვნა და არაკონსტიტუციურად სცნო საქართველოს კონსტიტუციის მე–40 მუხლის მე–3 პუნქტთან მიმართებით სსსკ–ის მე–13 მუხლის მე–2 ნაწილის მე–2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76–ე მუხლით განსაზღვრული მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას და სსკ–ის 169–ე მუხლის 1–ლი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 76–ე მუხლით განსაზღვრული მტკიცებულების – ირიბი ჩვენების საფუძველზე პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობას. სასამართლოს მიერ რისკების შემცველ მთავარ ფაქტორად, ირიბი ჩვენების სანდოობის დაბალი ხარისხია დასახელებული, რომელიც არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე–40 მუხლით გათვალისწინებულ მტკიცებულებათა უტყუარობის სტანდარტს.[53] სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ „ქურდული სამყაროს წევრობის“ დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვება მარტივი არაა, ვინაიდან „ქურდული სამყარო“ არის კრიმინალური დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომლის თითოეულ წევრს განსაზღვრული აქვს თავისი ფუნქციები და მოვალეობები. „ქურდული სამყარო“ მიზნის მისაღწევად არ ერიდება სასტიკი მეთოდების გამოყენებას. „კანონიერი ქურდები“ მაქსიმალურად ცდილობენ დანაშაულის კვალის დაფარვას. „ქურდული სამყაროს“ დაუნდობელი წესებისა და მეთოდების გამო, თითქმის შეუძლებელია „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვება. ამიტომ 223[1] მუხლით გამოტანილი განაჩენები ხშირ შემთხვევაში ეყრდნობოდა მოწმეთა ჩვენებებს, რომელა უმეტესობაც ირიბი იყო. ლოგიკურია, რომ „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ პირდაპირი ჩვენებების მოპოვება რთულია, ვინაიდან მოწმეები ხშირ შემთხვევაში „ქურდული სამყაროს“ მხრიდან შურისძიების შიშის გამო, თავს არიდებენ ჩვენების

[53]ლ.ფაფიაშვილი, გ.თუმანიშვილი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი“. 2015 წელი 1 ოქტომბერი, გვ. 264–265

მიცემას . ამ ფონზე, საინტერესოა, რა გავლენა იქონია 2015 წლის 22 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ, ირიბი ჩვენების შესახებ, ორგანიზებულ დანაშაულთან, კერძოდ „ქურდულ სამყაროსთან“ ბრძოლის თვალსაზრისით. შევეცდებით, ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება სწორედ ამ ჭრილში განვიხილოთ. აღსანიშნავია, რომ მიქაძის საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება კიდევ უფრო ართულებს სახელმწიფოს მიერ „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლას. ამის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. მაგალითად, 2018 წლის 30 ნოემბრის უზენაესი სასამართლოს განაჩენი,[54] რომლის მიხედვითაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქალაქო სასამართლოს განაჩენთან მიმართებით, რომლის თანახმადაც, „კანონიერ ქურდობაში“ ბრალდებული ვ.ხ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა. უზენაესმა სასამართლომ განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მიუთითა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის N1/1/548 გადაწყევტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და განმარტა , რომ კონსტიტუციის მე–40 მუხლის მე–3 პუნქტიდან გამომდინარე მტკიცებულებითი სტანდარტი ვალდებულებას აკისრებს სასამართლოს, რომ სათანადოდ შეაფასოს მტკიცებულებები, სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადაწყვიტოს ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ. ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ მოწმეების ჩვენებაში საუბარია მხოლოდ ოპერატიულ ინფორმაციაზე ვ.ხ.–ს „კანონიერი ქურდობის“ შესახებ, მაგრამ ინფორმაცია მის მიერ რაიმე კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის თაობაზე, რაც დაადასტურებდა ამ პირის „ქურდული სამყაროს“ წევრობას ან „კანონიერ ქურდობას“ არ არსებობს. შედეგად, სახეზე გვაქვს მოწმეების მიერ, სასამართლოზე მიცემული ირიბი ჩვენებები, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად არის ცნობილი ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისა და პირის ბრალდებულად ცნობის შესაძლებლობა, უზენაესმა სასამართლომ აღნიშნულ ჩარჩოებში მიიღო გადაწყვეტილება. დაახლოებით მსგავსი განმარტება გვხვდება სასამართლოების მიერ მიღებულ სხვა გადაწყვეტილებებშიც, მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ

[54]საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, საქმე N327აპ–18

უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება,[55] რომლის თანახმადაც „ქურდული სამყაროს“ წევრობასა და „კანონიერ ქურდობაში“ ბრალდებული ბ.ფ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა. სამოტივაციო ნაწილში სააპელაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მოწმეების მიერ მიცემულ ირიბ ჩვენებებზე და განმარტავს, რომ აღნიშნული ჩვენებების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია არ არის საკმარისი ბ.ფ.–ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისთვის, ხოლო გამამართლებელი განაჩენის უცვლელად დატოვების დასაბუთების ნაწილში უზენაეს სასამართლოს ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილების მსგავსად, სააპელაციო სასამართლოც საქართველოს კონსტიტუციის მე–40 მუხლის განმარტებას იშველიებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 223[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვება მარტივი არ არის. ეს მხოლოდ ჩვენი აზრი არ გახლავთ, იგივეს ფიქრობს საქართველოს მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამმართველოც. მათი აზრით: „სსკ–ს 223[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის კვალიფიკაციისთვის მტკიცებულებების მოპოვება დიდ სირთულეს წარმოადგენს და პროფესიონალიზმს მოითხოვს“.[56] ამ ისედაც რთულ პროცესს, კიდევ უფრო ართულებს მიქაძის საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ირიბი ჩვენება, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა არაირიბი მტკიცებულება, უნდა წარმოადგენდეს მოსამართლის შეფასების საგანს. ვფიქრობთ, რომ ყველა შემთხვევაში ირიბი ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა აკრძალული არ უნდა იყოს და მოსამართლეს უნდა ჰქონდეს მტკიცებულების შეფასების შესაძლებლობა. მან ყველა კონკრეტული შემთხევის გათვალისწინებით უნდა დაადგინოს არის თუ არა ირიბი ჩვენება რელევანტური, დასაშვები და უტყუარი განაჩენის გამოსატანად. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს „ქურდულ სამყაროსთან“ ბრძოლა ძალიან გაუჭირდება.

სასამართლო გადაწყვეტილებების გაცნობისას გამოიკვეთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და ჩვენი აზრით, პრობლემატური საკითხი, რომელსაც მოსამართლეები იყენებენ გამამართლებელი განაჩენების დასაბუთებისას. მხედველობაში გვაქვს, „კანონიერი ქურდის“ მიმართ განაჩენის გამოტანისას წარმოშობილი მარადიული შეკითხვა: რა წარმოადგენს პირის დასჯადობის საფუძველს 223[1] მუხლით – ქმედება, თუ სოციალური სტატუსი? ამ

[55] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1/ბ–128–17

[56]მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამმართველო „ორგანიზებული დანაშაული“, გვ.5

შეკითხვაზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამომწურავი პასუხი გაგვცა. საქმეზე „აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ“ ევროსასამართლო განმარტავს, რომ „ქურდული სამყაროს ფენომენი ძალიან ღრმად იყო გამჯდარი საზოგადოებაში 2005 წლის 20 დეკემბერს ანტიკრიმინალური საკანონმდებლო პაკეტის მიღებამდე დიდი ხნით ადრე, ამასთან „კანონიერი ქურდების“ სოციალური ავტორიტეტი იმდენად მაღალი იყო, რომ საზოგადოების ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის ისეთი ცნებები, როგორიცაა „ქურდული სამყარო“, „კანონიერი ქურდი“ ,“ქურდული გარჩევა“, „ობშიაკი“ და ა.შ. წარმოადგენდა საყოველთაო ცოდნის საგანს და ფართო წრეებში იყო გაგებული. შესაბამისად, კანონმდებლებმა უბრალოდ სისხლის სამართლის ჩარჩოებში მოაქციეს ცნებები და ქმედებები, რომლებიც უკავშირდება კრიმინალურ ქვეკულტურას. ამასთან, ამ ცნებების ზუსტი მნიშვნელობა უკვე ცნობილი იყო საზოგადოებისთვის“.[57] სტრასბურგის აღნიშნული გადაწყვეტილების ანალიზის შედეგად ვასკვნით, რომ ე.წ. “კანონიერი ქურდობის“ დასჯადობის საფუძველს წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფისადმი, „ქურდული სამყაროსადმი“ კუთვნილება. როდესაც პირი „ქურდულ სამყაროში“ წევრიანდება, ის ავტომატურად ეთანხმება აღნიშნული ორგანიზაციის კრიმინალურ საქმიანობას, ასევე თანხმობას აცხადებს ამ ორგანიზაციის მიერ ჩადენილ და ჩასადენ დანაშაულებზე. „ქურდული სამყაროს“ წევრისა და „კანონიერი ქურდის“ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სწორედ მათ მიერ განხორციელებულ ქმედებასა და ჩასადენ დანაშაულებზე წინასწარ გამოთქმულ თანხმობაზეა დამოკიდებული. „ქურდული სამყარო“ იმდენად საშიშია სახელმწიფოსთვის, რომ სტრასბურგმა მისი წევრობა უკვე დანაშაულებრივი ქმედების დონეზე აიყვანა, შესაბამისად „კანონიერი ქურდობა“ ეს მხოლოდ სტატუსი აღარაა, არამედ ეს უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია. მიუხედავად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებისა, საქართველოს საერთო სასამართლოები 223[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ბრალდებული პირების მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის დასაბუთებისას, ერთ-ერთ არგუმენტად იშველიებენ ბრალდებულის მიერ განხორციელებული კონკრეტული ქმედების არარსებობას. მაგალითისთვის მოვიყვანოთ რამდენიმე კონკრეტული საქმე: თბილისის სააპელაციო სასამართლო, 2017 წლის 6 მარტს, ბ.ფ–ს მიმართ 223[1] მუხლის მე–2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამოტანილ გამამართლებელ განაჩენს შემდეგნაირად ასაბუთებს: „მხოლოდ ე.წ „კანონიერი ქურდის“ სტატუსის

[57]ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინება, საჩივარი N45554/08 „აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ“. სტრასბურგი, 2014 წლის 15 ივლისი

ქონა არ წარმოადგენს დასჯად ქმედებას, პირის დამნაშავედ ცნობისთვის აუცილებელია, რომ ის ახორციელებდეს აქტიურ ქმედებებს, რაც ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება".[58] იმავე პოზიციას იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოც, რომელიც 2017 წლის 6 ივნისს გამოტანილ გამამართლებელ განაჩენში აღნიშნავს, რომ „კანონიერი ქურდობისთვის" პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემისთვის, არ არის საკმარისი მხოლოდ იმ ფაქტების დადგენა, რომ ეს პირი აღიარებს „ქურდულ სამყაროს" და საზოგადოებაში „კანონიერი ქურდის" სახელითაა ცნობილი. ამასთანავე უნდა დადგინდეს, რომ იგი ორგანიზებას უწევს „ქურდულ სამყაროს" ან პირთა გარკვეულ ჯგუფს სპეციალური წესების შესაბამისად, რაც გამოხატულებას ჰპოვებს კონკრეტულ ქმედებებში".[59] საქალაქო სასამართლოს ეს პოზიცია აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გაზიარებული აქვს, როგორც სააპელაციო, ისე უზენაეს სასამართლოსაც (თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1ბ/578–17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N 2კ–715აპ.–17). მიგვაჩნია, რომ საერთო სასამართლოების ზემოაღნიშნული მსჯელობები თანხვედრაში არ მოდის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებასთან საქმეზე „აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ". პირის „ქურდულ სამყაროში" შესვლა ან „კანონიერ ქურდად მონათვლა" უკვე სოციალურად საშიში ქმედებაა, რომელიც დამთავრებულ დანაშაულად უნდა განვიხილოთ.[60] გარდა ამისა, ბოლო პერიოდში „კანონიერი ქურდების" მხრიდან აღიარების მოპოვება საკმაოდ რთულია, ვინაიდან ისინი უკვე თავს არიდებენ საკუთარი სტატუსის ხმამაღლა აღიარებას, „დღესდღეობით მათი ვინაობის შესახებ კითხვაზე ე.წ. „კანონიერი ქურდები" პასუხობენ, რომ არიან მოქალაქეები, ადამიანები და ა.შ. და ყველანაირად არიდებენ თავს სამართალდამცავებთან იმის აღიარებას, რომ ე.წ. „კანონიერ ქურდებს" წარმოადგენენ".[61] აქედან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული აღიარება, იმის შესახებ, რომ პირი „კანონიერი

---

[58]თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1/ბ–128–17

[59]თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, საქმე N1/183–17

[60]ავტორთა კოლექტივი (გ.ნაჭყებია, ნ.თოდუა, გ.მამულაშვილი, გ.გორაშვილი, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალიძე), „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში", თბილისი, 2012 წელი

[61]ავტორთა კოლექტივი (გ.ნაჭყებია, ნ.თოდუა, გ.მამულაშვილი, გ.გორაშვილი, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალიძე), „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში", თბილისი, 2012 წელი, გვ.578

ქურდია“ ძალიან მნიშვნელოვანია და სასამართლოს მხრიდან მისი გაუბრალოება, ან უგულებელყოფა არაა მართებული. „კანონიერი ქურდობის“ აღიარება მხოლოდ სტატუსის აღიარებამდე არ უნდა დავიყვანოთ, ეს ბევრად მეტია, ვიდრე ბრალდებულის მხრიდან მხოლოდ მისი კრიმინალური სტატუსის აღიარება. „კანონიერი ქურდობა“ თავის თავში მოიცავს დანაშაულებრივი, ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელობას, ამიტომ „კანონიერი ქურდობის“ აღიარება „ზუსტად კრიმინალური ორგანიზაციისადმი კუთვნილების აღიარებას ნიშნავს“.[62] შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ სასამართლოების მხრიდან გაკეთებული აღნიშნული განმარტებები, კიდევ უფრო ართულებს „კანონიერი ქურდების“მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძებლობას, ვფიქრობთ, აღნიშნული პრაქტიკა გადახედვას საჭიროებს, წინააღმდეგ შემთხვევაში 223[1] მუხლის პრაქტიკაში გამოყენება ფაქტობრივად შეუძლებელი გახდება და მუხლი მის დანიშნულებას ვეღარ შეასრულებს.

თავი V. „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები

5.1. პრევენციული მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუშლიან „ქურდული სამყაროს“ გაფართოებას

შევეცადეთ, მაქსიმალურად ობიექტურად განგვეხილა და შეგვეფასებინა 2005 წლის 20 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებიდან დღემდე „კანონიერი ქურდებისა“ და „ქურდული სამყაროს“ შესახებ საქართველოში არსებული სახელმწიფო პოლიტიკა და სასამართლო პრაქტიკა. ჩვენ ვიხილეთ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა, რომელიც საკმაოდ წარმატებულად გამოიყენებოდა „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა გააჩნდა ბევრი უარყოფითი მხარეც. ასევე ვნახეთ ახალი ხელისუფლების ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკა და მისი შედეგები, რომელიც „ქურდულ სამყაროსთან“ ბრძოლის თვალსაზრისით, არც ისე სახარბიელოა. აღსანიშნავია, რომ თავისი მნიშვნელობიდან და საშიშროებიდან გამომდინარე, „ქურდულ სამყაროსთან“ ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, სახელმწიფოს მხრიდან 2005 წლიდან დღემდე განხორციელებული ქმედებები საკმარისი არ

[62]ავტორთა კოლექტივი (გ.ნაჭყებია, ნ.თოდუა, გ.მამულაშვილი, გ.გორაშვილი, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალიძე), „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, თბილისი, 2012 წელი, გვ.578

აღმოჩნდა „კანონიერი ქურდების“ საბოლოოდ დასამარცხებლად. აუცილებელია ჩამოყალიბდეს სტრატეგია, რომლის მიხედვითაც მოხდება ორგანიზებული დანაშაულის, ამ გამორჩეულად საშიში სახეობის დამარცხება. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში დანაშაულის პრევენციაზე ფიქრი ყოველთვის პოსტფაქტუმ იწყება ხოლმე, რაც არასწორად მიმაჩნია. ვფიქრობ, რომ დანაშაულთან ბრძოლა არა მხოლოდ კონკრეტული ფაქტის წინაშე დადგომის შემდეგ უნდა ხდებოდეს, არამედ ამ ფაქტის დადგომამდეც. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ „ქურდული სამყაროს“ სამიზნე ჯგუფში მყოფ პირებთან მუშაობა უნდა დავიწყოთ მანამ, სანამ ეს პირები ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები გახდებიან, რათა ჩანასახშივე მოვსპოთ მათი „კანონიერ ქურდად“ გადაქცევის შესაძლებლობა. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია გამოვიყენოთ დანაშაულის პრევენციის სხვადასხვა მექანიზმები. დანაშაულის პრევენციის სრულყოფილი მოდელის მიხედვით, არსებობს ამ მექანიზმების რამდენიმე ლოგიკურ ჯგუფად დალაგების შესაძლებლობა. „მაგალითად: მექანიზმები, რომლებიც ახდენენ დანაშაულის ჩადენის პრევენციას: მორალური ბარიერების შექმნა, დანაშაულებრივ ქცევაში ან დანაშაულებრივ ჯგუფში ადამიანის ჩართვის/გაწევრიანების შემცირება, დაშინება (ზოგადი პრევენცია), შესაძლებლობის წართმევა, ჩამოშორება/დესტრუქცია ან ხელის შეშლა, დაუცველი ჯგუფების დაცვა. მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება მას შემდეგ, რაც დანაშაული ჩადენილია: შესაძლებლობის წართმევა (რეაქტიული), ზიანის შემცირება. მექანიზმები, რომლებიც ახდენენ დანაშაულის ხელახალი ჩადენის პრევენციას: დაშინება (სპეციალური პრევენცია), შესაძლებლობის წართმევა (პროაქტიური), სარგებლის შემცირება, რეაბილიტაცია“.[63] რა თქმა უნდა, ყველა ამ მექანიზმთაგანი შესაძლოა არ გამოგვადგეს „ქურდულ სამყაროსთან“ საბრძოლველად, თუმცა დანაშაულის პრევენციის მექანიზმების მაქსიმალური გამოყენება აუცილებელია, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების დასამარცხებლად. შევეცდები, ამომწურავად ჩამოვაყალიბო ის ნაბიჯები, რომელთა გადადგმაც აუცილებლად მიმაჩნია 223[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის პრევენციისთვის.

იმისათვის, რომ მოვახდინოთ 223[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის პრევენცია, პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ, თუ საზოგადოების რა ნაწილი წარმოადგენს „ქურდული სამყაროს“ სამიზნე ჯგუფს. „კანონიერი ქურდების“ გავლენის ქვეშ, როგორც წესი, ყველაზე

[63]ტორე ბიორგო. „დანაშაულის პრევენცია“, ყოვლისმომცველი მიდგომა. პირველი ქართული გამოცემა, ქართულ–ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, 2019 წელი, გვ.42.

ხშირად ექცევიან ახალგაზრდები, არასრულწლოვნები. არასრულწლოვნებისათვის დამახასიათებელია იმიტაცია – სწრაფვა მოიქცეს ისე, როგროც იქცევიან თანატოლები ან მათზე უფროსები. იდეოლოგიური და მორალური დადგენილებების ნაკლებობას, სამართლებრივი ნორმების ცუდად ცოდნას, არასრულწლოვანთა ფსიქიკის თავისებურებებს და მოზრდილებისთვის წინააღმდეგობის გაწევის სურვილს მივყავართ იქამდე, რომ მათ გონებაში საზოგადოებაში მიღებული ნორმების ანტისოციალური ნორმებით ჩანაცვლება ადვილად ხდება. გაზვიადების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ კრიმინალური სუბკულტურა არის არასრულწლოვანთა კრიმინალიზაციის მთავარი მექანიზმი. არასრულწლოვანი, რომელიც ცდილობს გაექცეს თავის კომპლექსებს, სირთულეებს, დამოკიდებულებას სხვებზე, ეძებს მხარდაჭერასა და დაცვას ახალგაზრდულ ჯგუფებში. ასეთი ჯგუფების წარმომადგენლები, ოსტატურად მიმართავენ სხვადასხვა საშუალებებს: რომანტიზმს, ურთიერთ დახმარებას, სუსტის დაცვას, შეზღუდვების არარსებობას, რელიგიური და ნაციონალური დისკრიმინაციის წახალისებას.[64] შესაბამისად, კრიმინალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების გავლენის ქვეშ ყველაზე ხშირად ექცევიან არასრულწლოვნები, რადგან ახალგაზრდებზე ზემოქმედება გაცილებით მარტივია, ვიდრე ზრდასრულებზე. სწორედ არასრულწლოვნები წარმოადგენენ „ქურდული სამყაროსთვის“ ყველაზე ადვილად მოწყვლად სეგმენტს, ამიტომ აუცილებელია, რომ სახელმწიფომ, პირველ რიგში, გაატაროს არასრულწლოვანთა დასაცავი პრევენციული ღონისძიებები. ჩვენი აზრით, „ქურდულ სამყაროში“ გაწევრიანების საწინააღმდეგო არაერთი ღონისძიებაა გასატარებელი, რომლებიც „მოიცავს სოციალურ–პრევენციულ ღონისძიებების შეთავაზებას ბავშვებისა და მოზარდებისთვის, რათა ამით უზრუნველყოფილი იყოს რაც შეიძლება ბევრი მათგანის სწორი ინტეგრაცია საზოგადოებაში, ამასთან, გამოყენებული უნდა იყოს ინდივიდუალურად გამიზნული საშუალებები მათ მიმართ, ვისაც პრობლემური ქცევისკენ აქვს მიდრეკილება“.[65] მიმაჩნია, რომ არასრულწლოვნის ჩამოყალიბებაზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს ოჯახი, სკოლა, სოციალური გარემო და მედია. „ქურდული სამყაროს“ გავლენის შესამცირებლად აუცილებელია, რომ მასთან

[64]Shalagin AE პრევენცია ანტისოციალური ორიენტაციის ახალგაზრდული ასოციაციების ორგანოების მიერ / AE შალაგინი / ექსტრემისტული მანიფესტაციის პრევენცია თანამედროვე პირობებში არასრულწლოვანთა შორის: შუალედური მრგვალი მაგიდის მასალების კოლექცია (ყაზანი, 30 ნოემბერი 2012). - ყაზანი: 2013 წლის რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს კვარტალი.

[65]ტორე ბიორგო. „დანაშაულის პრევენცია“, ყოვლისმომცველი მიდგომა. პირველი ქართული გამოცემა, ქართულ–ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, 2019 წელი, გვ.182

ბრძოლაში ჩაებას სრულიად სახელმწიფო აპარატი. უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები, რის შედეგადაც საზოგადოების თვალში კრიმინალურ სამყაროს ჩამოეხსნება ნიღაბი და ხალხი დაინახავს, თუ რეალურად რა მიზნები ამოძრავებთ „კანონიერ ქურდებს“ მათი რომანტიზებული საფარველის მიღმა. შესაძლოა გაკეთდეს „ქურდული სამყაროს“ მამხილებელი ვიდეო რგოლები, რომლებშიც საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები: მსახიობები, მწერლები, სპორტსმენები, მეცნიერები და სხვ. დაგმობენ ორგანიზებულ დანაშაულს და საზოგადოებას გააცნობენ „ქურდული სამყაროს“ წევრების რეალურ, ფინანსური სარგებლის მიღების, მიზანს. ასევე, მოყვებიან იმ სასტიკი და დაუნდობელი ხერხების შესახებ, რომელთაც „კანონიერი ქურდები“ იყენებენ თავიანთი მიზნების მისაღწევად. გარდა ამისა, შესაძლოა გაკეთდეს სატელევიზიო გადაცემები, სადაც „ქურდულ გარჩევებში“ დაღუპული პირების ოჯახის წევრები საზოგადოებას გაუზიარებენ რეალურ ისტორიებს „ქურდული სამყაროს“ სისასტიკისა და დაუნდობლობის შესახებ, მოყვებიან, თუ როგორ დაკარგეს საყვარელი ადამიანები კრიმინალური გარჩევების დროს და რაოდენ საშიშია ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებები საზოგადოებისათვის. ამის პარალელურად, აუცილებელია განხორციელდეს სამართალდამცავი ორგანოების რეფორმები და დაიწყოს პოლიციის იმიჯის ამაღლება საზოგადოების თვალში. შესაძლოა, გაკეთდეს პოლიციის მხარდასაჭერი სარეკლამო ვიდეო რგოლები, ასევე, სხვადასხვა გადაცემებში უნდა მოხდეს პოლიციის როლის ხაზგასმა და მათი საქმიანობის პიარი. საზოგდოება უნდა დავარწმუნოთ, რომ სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობა სირცხვილი კი არა, მათი მოქალაქეობრივი ვალია. პოლიციის სტატუსი ხალხის თვალში უნდა ამაღლდეს და ეს პროფესია საამაყო უნდა გახდეს. საზოგადოებას ასევე უნდა გაუჩნდეს რწმენა, რომ კრიმინალური სამყარო მათი შვილების სიცოცხლეს უქმნის საფრთხეს. „ქურდულ სამყაროს“ საზოგადოებაში დასაყრდენი უნდა გამოეცალოს და „კანონიერი ქურდობა“ არა საამაყო, არამედ სამარცხვინო უნდა გახდეს. „დანაშაულებრივი კარიერის არჩევის საწინააღმდეგო ყველაზე ეფექტიანი საშუალება სოციალური ინტეგრაციის საშუალებებისა და ზომიერი სანქციების გამოყენებაა პრობლემური ქცევისა და უკანონო გაერთიანებებში გაწევრიანების სურვილის მქონე ადამიანებისთვის“.[66] არასრულწლოვანთა ცნობიერების ჩამოყალიბებაში ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი აკისრია სკოლას და იქ მიღებულ განათლებას. მიმაჩნია, რომ სკოლაში აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

[66]ტორე ბიორგო. „დანაშაულის პრევენცია“, ყოვლისმომცველი მიდგომა. პირველი ქართული გამოცემა, ქართულ–ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, 2019 წელი, გვ.182

აუცილებელია ამ მიმართულებით მასწავლებლების გადამზადება და სასკოლო პროგრამასთან ადაპტირებული სახელმძღვანელოების შექმნა. არასრულწლოვნები სკოლიდანვე უნდა ჩამოყალიბდნენ კანონმორჩილ მოქალაქეებად და უნდა ჰქონდეთ სრულყოფილი საბაზისო ცოდნა მათთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ. სკოლის მიზანი უნდა იყოს მაღალი მართლშეგნების მქონე ინდივიდების აღზრდა. არასრულწლოვნისთვის კანონების დაცვა ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ მოვლენას უნდა წარმოადგენდეს, ხოლო „ქურდული სამყარო“ ორგანიზებულ დანაშაულთან უნდა ასოცირდებოდეს და არა რომანტიზებულ, სამართლიან, კვაზისახელმწიფოებრის წარმონაქმნთან. „ადრეული ჩარევა განსაკუთრებით ბავშვებისა და ახალგაზრდების დონეზე, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო მომგებიანია, ვიდრე შემდგომ პერიოდში, როდესაც ადამიანს უკვე პრობლემური ქცევა კარგად აქვს გამჯდარი“.[67]

„ქურდულ სამყაროსთან“ ბრძოლისას სახელმწიფოს მიდგომა უნდა იყოს კომპლექსური. კრიმინალური საზოგადოების გავლენის ქვეშ მოქცევისგან დაცული უნდა იყოს ყველა, მათ შორის ის პირებიც, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა ესა თუ ის დანაშაული და მოხვდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. არასრულწლოვანი, რომელიც ხვდება ციხეში, ფაქტობრივად განწირულია კრიმინალური სამყაროს გავლენის ქვეშ მოქცევისთვის. ვინაიდან, არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნის მიზანს პირველ რიგში წარმოადგენს მისი რესოციალიზაცია – რეაბილიტაცია.[68] აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნების „ქურდული სამყაროს“ გავლენის ქვეშ მოქცევისგან დაცვის ერთ–ერთ საშუალებას წარმოადგენს მათი არიდება სასჯელაღსრულების დაწესებულებისგან, ამას კი უზრუნველყოფს სასჯელის ალტერნატიული საშუალებები – განრიდება და მედიაცია. მიგვაჩნია, რომ ამ ორი ინსტიტუტის გაძლიერება და მათი პრაქტიკაში აქტიურად გამოყენება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს არასრულწლოვნების დაცვას კრიმინალური სამყაროსგან. ამის თქმის საფუძველს იძლევა არსებული სტატისტიკაც: „განრიდებისა და მედიაციის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბოლო წლების განმავლობაში იმატა განრიდებისა და მედიაციის საქმეებმა, რაც მისასალმებელია. საინტერესოა რეციდივის დაბალი მაჩვენებელი. თუ ჩვენ ამ მაჩვენებელს შევადარებთ განვითარებული ევროპის სახელმწიფოს

[67]ტორე ბიორგო. „დანაშაულის პრევენცია“, ყოვლისმომცველი მიდგომა. პირველი ქართული გამოცემა, ქართულ–ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, 2019 წელი, გვ.182

[68]საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართმსაჯულების კოდექსი“, კარი მე–6 არასრულწლოვნის სასჯელი, თავი მე–10, მუხლი 65

(გერმანიის მაჩვენებელს) დავინახავთ, რომ გერმანიაში განრიდების რეციდივის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია (36,6% 2013წელს) ქართულ მაჩვენებელზე (4%). ამის ახსნა შეიძლება იმით, რომ გერმანიაში განრიდება ხდება თითქმის ყველა იმ არასრულწლოვნის საქმის, რომელიც ამ კრიტერიუმს აკმაყოფილებს. საქართველოში კი, იმ საქმეების მხოლოდ ნახევარი მიდის განრიდება–მედიაციით, რომლებიც ამ პროგრამაში ჩართულობის საკანონმდებლო კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. გერმანიაში ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებას მაინც პრიორიტეტულად მიიჩნევენ, რადგან თავისუფლების აღკვეთიდან გამოწვეული რეციდივი (76,8%) ორჯერ უფრო მეტია განრიდების რეციდივის პროცენტული მაჩვენებლისა".[69] ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ განრიდება და მედიაცია საგრძნობლად ამცირებს დანაშაულის რეციდივს, შესაბამისად ამ ღონისძიებების გამოყენებისას ალბათობა იმისა, რომ არასრულწლოვანი მოექცევა „ქურდული სამყაროს" გავლენის ქვეშ და ჩაიდენს ახალ დანაშაულს დაბალია. ვფიქრობთ, განრიდება და მედიაცია პრაქტიკაში უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ და ამ გზით არასრულწლოვნები დავიცვათ კრიმინალური სამყაროს გავლენის ქვეშ მოქცევისგან. „სოციალური პრევენციის საშუალებები შეიძლება ეფექტიანი აღმოჩნდეს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ახალგაზრდები უკვე ჩართული არიან დანაშაულებრივ საქმიანობაში და თავისთავად პრობლემური ქცევებიც გამომუშავებული აქვთ. აღნიშნულში შეიძლება შედიოდეს სკოლაში, სამსახურში, პირად საკითხებში დახმარება და ალტერნატიული აქტივობების შეთავაზება".[70] ასევე საყურადღებოა, რომ ახალგაზრდის „ქურდულ სამყაროში" გაწევრიანებას შეიძლება ხელი შეუშალოს მშობლებისა და შეყვარებულების წინააღმდეგობამ, რომელიც მიმართული იქნება აღნიშნულ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფში გაწევრიანების წინააღმდეგ. ასევე გაამართლებს „ქურდული სამყაროს" პოტენციური წევრების იმიჯზე მუშაობა იმდაგვარად, რომ მათი სანდოობა ეჭვქვეშ დააყენოს თავად კრიმინალურმა გაერთიანებამ. „მაგალითად, პოლიციის მხრიდან მათთან ხშირი კომუნიკაცია, რაც გაერთიანების წევრებს აფიქრებინებს, რომ ეს ადამიანი

[69]მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე „არასრულწლოვანთა მართმსაჯულება", თბილის, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016 წელი, გვ.92–93

[70]ტორე ბიორგო. „დანაშაულის პრევენცია", ყოვლისმომცველი მიდგომა. პირველი ქართული გამოცემა, ქართულ–ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, 2019 წელი, გვ.182

პოლიციასთან თანამშრომლობს“.[71] ამ გზით, ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფს თავად ვათქმევინებთ უარს წევრის მიღებაზე.

მნიშვნელოვანი პრევენციული ნაბიჯია „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ნორმატიული ბარიერების შექმნა, რაც ქართველმა კანონმდებლებმა უკვე განახორციელეს, თუმცა მხოლოდ საკანონმდებლო ბაზის არსებობა არაა საკმარისი და აუცილებელია ნორმების პრაქტიკაში სწორი გამოყენება. „საკანონმდებლო რეგულირება იმის გარანტიაა, რომ იგი კანონის ფარგლებში აქცევს ასეთი გაერთიანებების მოქმედების არეალს“.[72]

223[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის პრევენციის მექანიზმების შემუშავებისას, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ „ქურდული სამყაროსთვის“ კიდევ ერთი მარტივად მოწყვლადი სეგმენტი, ნასამართლევი პირები, ადამიანები, რომელთაც მოიხადეს სასჯელი და დატოვეს სასჯელაღსრულების დაწესებულება. შესაძლოა, პიროვნება წარსულში კანონმორჩილი მოქალაქე იყო, თუმცა განზრახვის გარეშე, შემთხვევით ვინმეს მოუსპო სიცოცხლე, ამის გამო მოხვდა ციხეში და იქიდან გამოსვლის შემდგომ, მისთვის ყველა კარი ჩაიკეტა. ნასამართლეობის გამო ვერც მუშაობა დაიწყო,ვერც სოციალური ურთიერთობები აიწყო და პირად ურთიერთობებშიც პრობლემები შეექმნა. ასეთი ადამიანისთვის კრიმინალური სამყაროს კარი მუდამ ღია იქნება და საბოლოოდ საზოგადოებიდან გარიყვის გამო, შესაძლოა „ქურდული სამყაროს“ გავლენის ქვეშ მოექცეს. ამის თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფოს ნასამართლევი პირების მიმართ სწორი პოლიტიკის გატარება მართებს. პირველ რიგში, აუცილებელია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოხდეს კრიმინალური სამყაროს წევრებისა და ე.წ „კანონიერი ქურდების“ გავლენების შესუსტება და ციხის ადმინისტრაციის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულების მართვის სადავეების მთლიანად ხელში აღება. მეორე და უმთავრესი ნაბიჯი სახელმწიფოს მხრიდან, უნდა იყოს ყოფილ პატიმართა, განსაკუთრებით კი არასრულწლოვან პატიმართა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია, რისი განხორციელებაც შესაძლოა მოხდეს, ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამების მეშვეობით. აღნიშნული პროგრამების მიზანი უნდა იყოს, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული პირების

[71]ტორე ბიორგო. „დანაშაულის პრევენცია“, ყოვლისმომცველი მიდგომა. პირველი ქართული გამოცემა, ქართულ–ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, 2019 წელი, გვ.183

[72]ტორე ბიორგო. „დანაშაულის პრევენცია“, ყოვლისმომცველი მიდგომა. პირველი ქართული გამოცემა, ქართულ–ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, 2019 წელი, გვ.186

რეაბილიტაციის ხელშეწყობა, მათი საზოგადოებაში დაბრუნება სრულუფლებიან წევრებად და განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება.

ვფიქრობთ, ზემოაღნიშნული პრევენციული ნაბიჯების გადადგმის შემდგომ „ქურდული სამყაროს“ გავლენის სფეროები მნიშვნელოვნად შეიზღუდება და საზოგადოების ყველა წევრი, მათ შორის არასრულწლოვნები, დაცული იქნებიან კრიმინალური დაჯგუფებების ზეგავლენის ქვეშ მოქცევისგან.

5.2. პრევენციული მექანიზმები, რომლებიც შესაძლოა გამოვიყენოთ პირის „კანონიერი ქურდობის“ ან „ქურდული სამყაროს წევრობის“ დადგენის შემდგომ

გარდა წინასწარი პრევენციისა და „ქურდული სამყაროს“ გაფართოებისთვის ხელის შეშლისა, აუცილებელია, რომ სახელმწიფო „კანონიერი ქურდებისა“ და „ქურდული სამყაროს წევრების“ წინააღმდეგ იყენებდეს პრევენციულ მექანიზმებს, მათი სტატუსის გარკვევისა და დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობის ან ხელმძღვანელობის დადგენის შემდეგაც. პრევენციის ამ სტადიის მთავარი აქტორები არიან სამართალდამცავი ორგანოები, საგადასახადო სამსახური, საბაჟო სამსახური, ასევე სხვა მაკონტროლებელი ორგანოები და რა თქმა უნდა სასამართლო. მიგვაჩნია, რომ კრიმინალური გაერთიანების ლიდერებისადმი სახელმწიფო პოლიტიკა უნდა იყოს შეუვალი, პოლიციამ ყველაფერი უნდა გააკეთოს მათ პასუხისგებაში მისაცემად და სასამართლოს გადაწყვეტილებებიც ნაკლებად ლოიალური უნდა იყოს მათ მიმართ. სამართალდამცავებმა „ქურდულ სამყაროსთან“ საბრძოლველად უნდა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება, „ვიდეო მეთვალყურეობა, გაერთიანებაში შეღწევა აგენტების დახმარებით და სხვა ფარული ქმედებები შეიძლება მნიშვნელოვანი საშუალებები იყოს იმის გამოსავლენად, რომ დანაშაული იგეგმება ან მზადდება“.[73] აღნიშნული საშუალებების გამოყენება, ასევე გააადვილებს ბრალდებისთვის საჭირო მტკიცებულებების მოპოვებას, რის საფუძველზეც „ქურდული სამყაროს“ ლიდერებს სასამართლო გამოუტანს გამამტყუნებელ განაჩენს. „ძირითადი ადამიანებისთვის/ლიდერებისთვის თავისუფლების აღკვეთამ შეიძლება გამოიწვიოს გაერთიანების პარალიზება,

[73]ტორე ბიორგო. „დანაშაულის პრევენცია“, ყოვლისმომცველი მიდგომა. პირველი ქართული გამოცემა, ქართულ–ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, 2019 წელი, გვ.198

განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წამყვან წევრებზეა საუბარი“.[74] აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ „ქურდული სამყაროს“ „ბოსების“ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განმწესება ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა, მხოლოდ ეს არ კმარა. აუცილებელია, რომ ციხეში მათი საკნები იზოლირებული იყოს სხვა პატიმრების საკნებისგან, რათა მათ არ მიეცეთ სხვებზე ზემოქმედების საშუალება. ასევე, მათ ვერ უნდა მოახერხონ ციხის გარეთ არსებული კრიმინალური ორგანიზაციის საკნიდან მართვა. აღსანიშნავია, რომ პოლიციისა და ციხის ადმინისტრაციის მხრიდან, „ქურდული სამყაროს“ წევრებთან მიმართებით რაიმე სახის კომპრომისებსა და დათმობებზე წასვლა დაუშვებელია, იმავე შეხედულებას იზიარებს დანიის ეროვნული დაზვერვის ცენტრის უფროსის მოადგილე, კიმ კლაივერი, რომელიც ამბობს: „კრიმინალური გარემოს წევრების წინააღმდეგ დიალოგი გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ მოსამართლის წინაშე, სასამართლო დარბაზში“![75] აქვე აღსანიშნავია, რომ მოსამართლეების მიდგომა „კანონიერ ქურდებთან“ მიმართებით უნდა იყოს მტკიცე და მკაცრი. „ასეთი რეპრესიული საშუალებების გამოყენებისას გაერთიანების ძირითადი წევრების მიმართ, უფრო ნაკლებად რეპრესიული საშუალებები შეიძლება იქნეს გამოყენებული ახალბედა წევრების ან გაწევრიანების პირას მყოფი წევრების მიმართ ისე, რომ მათ იგრძნონ რაოდენ ცუდი შედეგის მომტანი შეიძლება იყოს გაერთიანებაში მონაწილეობა“.[76] ვფიქრობთ, წარმატებით დაგვირგვინდება „ქურდულ სამყაროსთან“ ბრძოლა ზემოაღნიშნული რეპრესიული მეთოდების გამოყენებით. თუმცა, ამისთვის აუცილებელია სახელმწიფოს მტკიცე პოზიცია და „ქურდული სამყაროს“ საბოლოოდ დამარცხების პოლიტიკური ნება.

დასკვნა

ნაშრომში გამახვილებული იყო ყურადღება „ქურდული სამყაროს“ ისტორიულ განვითარებაზე. ასევე განხილული იყო ორგანიზებული დანაშაულიდან სახელმწიფოს წინააღმდეგ მომდინარე საფრთხეები. „კანონიერ ქურდებთან“ და „ქურდული სამყაროს წევრობასთან“ ბრძოლის ხანგრძლივი ისტორია საქართველოს ნამდვილად არ გააჩნია. აღნიშნული

[74]ტორე ბიორგო. „დანაშაულის პრევენცია“, ყოვლისმომცველი მიდგომა. პირველი ქართული გამოცემა, ქართულ–ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, 2019 წელი, გვ.204
[75]ტორე ბიორგო. „დანაშაულის პრევენცია“, ყოვლისმომცველი მიდგომა. პირველი ქართული გამოცემა, ქართულ–ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, 2019 წელი, გვ.213
[76]ტორე ბიორგო. „დანაშაულის პრევენცია“, ყოვლისმომცველი მიდგომა. პირველი ქართული გამოცემა, ქართულ–ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, 2019 წელი, გვ.204

ბრძოლა 2005 წლიდან იღებს სათავეს, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ „ქურდული სამყაროს“ დამარცხების მცდელობებისას არაერთი პრობლემა გამოიკვეთა. მიუხედავად პრობლემებისა და გარკვეული უარყოფითი გვერდითი მოვლენებისა, საქართველოს ხელისუფლების მიერ 2005 წლიდან „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ გატარებული ნულოვანი ტოლერანტობის სისხლის სამართლის პოლიტიკა ეფექტურად და წარმატებულად უნდა მივიჩნიოთ. „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლა წარმოუდგენელი იქნებოდა 2005 წლის საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე. სწორედ ამ ცვლილებების წყალობითა და უკომპრომისო ბრძოლის შედეგად, მოხერხდა ქვეყანაში არსებული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების განეიტრალება. 2012 წლისთვის საქართველოში „კანონიერი ქურდების“ რაოდენობა, ფაქტობრივად ნულამდე იყო დასული. ქვეყანა გათავისუფლდა კრიმინალური ავტორიტეტების გავლენებისაგან, ეს კი გამოიწვია „ქურდულ სამყაროსთან“ ხელისუფლების უკომპრომისო ბრძოლამ. ამ პროცესებში აქტიურად იყო ჩართული სასამართლო. 2012 წლამდე 223[1] მუხლით ბრალდებული პირების მიმართ არც ერთი გამამართლებელი განაჩენი არ დამდგარა. ხელისუფლების მიერ ნულოვანი ტოლერანტობის სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებამ, დადებითთან ერთად უარყოფითი შედეგებიც მოიტანა, მაგალითად, მსჯავრდებულთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, ასევე დაფიქსირდა პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები.

2012 წლის შემდგომ ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარება. მართალია „ქურდულ სამყაროსთან“ ბრძოლის მიმართულებით საკანონმდებლო დონეზე სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია არ მომხდარა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის ლიბერალურ პოლიტიკას, თუ ის ხელისუფლების მიერ იქნება აქტიურად მხარდაჭერილი, არ სჭირდება რაიმე სახის ნორმატიული გამოხატვა იმისთვის, რომ ზეგავლენა იქონიოს ამა თუ იმ დანაშაულთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკის შერბილებაზე. ამის ნათელი მაგალითია 2012 წლის შემდგომ 223[1] მუხლით ბრალდებული პირების მიმართ დამდგარი არაერთი გამამართლებელი განაჩენი. ამ ყველაფერმა, საბოლოოდ „ქურდული სამყაროს“ გაძლიერება და „კანონიერი ქურდების“ მხრიდან გარკვეული გავლენების კვლავ დაბრუნება გამოიწვია. საპასუხოდ, ხელისუფლებამ 2018 წელს დაიწყო „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ კანონმდებლობის გამკაცრება. „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ არსებული კანონმდებლობა გარკვეულ ხარვეზებს შეიცავდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მთავარი პრობლემა კანონში კი არა, არამედ თავად

ხელისუფლების მიერ წარმოებულ პოლიტიკაშია. სამწუხაროდ, სწორედ ხელისუფლებამ შექმნა ნიადაგი და კლიმატი იმისთვის, რომ „კანონიერ ქურდებს“ კვლავ დაებრუნებინათ გარკვეული არაფორმალური ავტორიტეტი. „ქურდული სამყაროს“ დამარცხების ერთადერთ გზას წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან სწორი სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება, ჩვენ მიერ ნაშრომში ჩამოყალიბებული პრევენციული მექანიზმები. კრიმინოლოგიური ანალიზისა და სწორი პრევენციული მექანიზმების გამოყენების გარეშე, „ქურდული სამყაროს“ დამარცხება შეუძლებელი იქნება. ამ ყველაფრის განსახორციელებლად კი აუცილებელია, სახელმწიფოს მტკიცე პოზიცია და ხელისუფლების პოლიტიკური ნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია 2019 წ. მდგ.;
2. სისხლის სამართლის კოდექსი, 1997 წ.;
3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2019 წ. მდგ.;
4. საქართველოს კანონი „ორგანიზებული დანაშაულობისა და რეკეტის შესახებ“ 2005 წ.;
5. საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართმსაჯულების კოდექსი“ 2019 წ. მდგ.;
6. ავტორთა კოლექტივი (გ.ნაჭყებია, ნ.თოდუა, გ.მამულაშვილი, გ.გორაშვილი, რ.გოგშელიძე, დ.სულაქველიძე, ი.დვალიძე), „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“, თბილისი, 2012 წელი
7. ავტორთა კოლექტივი, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, (წიგნი 1), თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014 წელი, მე-5 გამოცემა
8. ავტორთა კოლექტივი (გ. დაჭყებია, ნ.თოდუა, მ.ლეკვეიშვილი, მ.ივანიძე, თ.ცქიტიშვილი, ქ.მჭედლიშვილი–ჰედრიხი). „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში; გამომცემლობა „მერიდიანი“; თბ.2016 წელი
9. მორის შალიკაშვილი, „კრიმინოლოგია“, მესამე გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2017
10. მორის შალიკაშვილი, „არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები“, თბ., 2013 წელი
11. მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე „არასრულწლოვანთა მართმსაჯულება“, თბილის, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016 წელი
12. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013 წ
13. ლ.ფაფიაშვილი, გ.თუმანიშვილი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი“. 2015 წელი 1 ოქტომბერი
14. დავით მესხიშვილი, „ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი დახასიათება საქართველოში“, თბილისი 2012 წელი

15. ტორე ბიორგო. „დანაშაულის პრევენცია“, ყოვლისმომცველი მიდგომა. პირველი ქართული გამოცემა, ქართულ–ნორვეგიული კანონის უზენაესობის ასოციაცია, 2019 წელი
16. მთავარი პროკურატურის ანალიტიკური სამმართველო, „ორგანიზებული დანაშაული“
17. „კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურებში“. საქართველოში გატარებული რეფორმების ქრონიკა. მსოფლიო ბანკი The World Bank 2012
18. „ნულოვანი ტოლერანტობიდან ლიბერალიზაციისაკენ“. ციხის საერთაშორისო რეფორმა. თბ., 2011წელი
19. „დანაშაულთა კვლევა საქართველოში“, კვლევა ჩატარდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივითა და ევროკავშირის დაფინანსებით, კვლევის ტექნიკური ნაწილი განახორციელა კომპანია „გორბი“–მ. საბოლოო ანალიზი მოამზადეს ვიქტიმილოგიისა და ადამიანის უსაფრთხოების პროფესორმა – იან ვან დაიკმა, და კრიმინოლოგიის პროფესორმა გიორგი ღლონტმა
20. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიური ანგარიში პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე, 2006 წლის 14 თებერვალი
21. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო, საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგია. 2013–2017წწ.
22. კანონპროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, 07–3/511,19.11.15.
23. საქართველოს პროკურატურის 2018 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში. 14 მაისი 2019 წელი
24. Shalagin AE პრევენცია ანტისოციალური ორიენტაციის ახალგაზრდული ასოციაციების ორგანოების მიერ / AE შალაგინი / ექსტრემისტული მანიფესტაციის პრევენცია თანამედროვე პირობებში არასრულწლოვანთა შორის: შუალედური მრგვალი მაგიდის მასალების კოლექცია (ყაზანი, 30 ნოემბერი 2012). - ყაზანი: 2013 წლის რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს კვარტალი.
25. Wilson, J. Q./Kelling, G.I., 1996. S. 121-137
26. Ianni. Kinship and Social Control in Organizd Crime. 1972. Howard Abadinsky. Organized Crime. Nelson-Hall publishers. Chicago. перевод с англ.-СПб.: Издателство С.-Петербургского университе- та. 2002.
27. ნაიჯელ ქოთორნი, „მაფიის ისტორია“, 2012 წელი

28. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მეოთხე სექცია, განჩინება, საჩივარი N 45554/08, აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ, სტრასბურგი, 2014 წლის 15 ივლისი
29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. საქმის ნომერი 2კ–1823აპ.–07. 2008 წელი
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. საქმის ნომერი 2კ –663აპ.–10 . 2011 წელი
31. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. საქმის ნომერი N327აპ–18
32. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, საქმე N1/ბ–128–17
33. თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, საქმე N1/183–17
34. https://tsu.ge/science/?leng=ge&lcat=jurnal&jnomeri=7&tid=11
35. www.supremecourt.ge
36. https://police.ge/files/proeqtebi_reporma%20photos/organizebuli-danashauli/organizaciuli-danashauli.pdf